წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 23 ოქტომბერი 1915 წ. № 124

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

ხელის მოწერის ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ახალი კლუბის“

მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს „ახალი კლუბის“ წევრებს, რომ 18 ღვინობისთვის დანიშნულ

## საგანგებო კრების

გაგრძელება დანიშნულია ამა ღვინობისთვის 25; „ახალი კლუბის“ შენობაში დღისით 12 საათზე.

განსახილველი საკითხები: 1) კოოპერაციის „მეურნის“-ს მოხსენება და 2 არჩევნები მუდმივ სტუმრებისა.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

## ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

## პროვინციელ აგენტების

საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

## საჭიროა

რემენგტონზე მომუშავე ქალი

მიჰმართეთ ელისაბედის ქუჩა № 65 ოთხიდან ხუთს საათამდე. ბინა № 1

## საჭიროა

მოსამსახურე, ქალი თუ ვაჟი სულ ერთია

ადრესი: გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ორიდან სამს საათამდე.

## გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ **მანქანაზე**

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. გვათუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

## კბილის ექიმმა

**მამულაიშვილი**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

## ქ. ბორჯი

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## ექიმი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

## ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## იყიდება

ხელმისაწვდენ ფასებში

ორი საწერი მაგიდა

ელისაბედის ქუჩა № 65. ბინა გძელიშვილისა.

### თბილისი 23 ოქტომბერი.

დღეს ერთად ერთი საზრუნავი საგანი, ერთად-ერთი საჭიროება უდგას ქართველ ერს. ეგ არის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, ეგ არის თავის თავის გამოკვება.

ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილმა და ქართველმა ხალხმა თავისი ინიციატივა და ძალა-ენერგია უნდა მოახმაროს ამ გადაუდებელ საჭიროების დაკმაყოფილებას, საკვებ მასალის შემოზიდვას.

აქ არის ჩვენი ენერგიის გამოსაცხადებელი სარბიელი. არ ითქმის, ამ დარგში არაფერი კეთდებოდეს. დიდი საორგანიზაციო მუშაობა სწარმოებს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, სდგება კავშირები, სოფლის ხალხი ჯგუფდება და კოლექტიური ღონისძიებით ფიქრობს თავის შველას.

ყველაფერი მომზადებულია ომისათვის, რომ კერძო ინიციატივიან პირებს შეძლება მიეცეთ მოქმედების ნიჭი და უნარი გაშალონ. სამწუხაროდ ასეთი პირები ჯერ-ჯერობით არ მოსჩანან. ერთად ერთი კაცი, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა და დღესაც ენერგიულად მოქმედებს, გახლავთ ბ-ნი ლუკაშვილი, თელავის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოების თავმჯდომარე. ეს მეორედ გაემგზავრა იგი რუსეთს ხორბლის შემოსაზიდათ. როგორც მისგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, ოცი ვაგონი ხორბალი საქართველოსკენ გამოუგზავნია კიდეც.

საჭიროა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე მრავლად გამოჩნდენ ასეთი მომქმედი პირები.

ეს ცოცხალი მისაბაძი მაგალითია. ქვეყნის შველა მხოლოდ საქმეს შეუძლია და არა სიტყვასა და ლაპარაკს.

## გაღმა-გამოღმა

ჯერ კიდევ ომის წინა ხანებში გერმანეთმა, ან უკეთ, გერმანეთის იმპერატორმა ვილჰელმმა თავის ნებისყოფა გააბატონა მოკავშირე ავსტრეთ-უნგრეთსა და ოსმალეთზე. ომი დაიწყო თუ არა, გერმანეთის იმპერატორი აღიჭურვა დიქტატორის უფლებით და რასაც იგი და მისი გენერალური შტაბი საჭიროდ დაინახავდა და გადასწყვეტდა, ყოველ მიზეზის გარეშე უნდა შესრულებულიყო. ამ სახელმწიფოთა მოქმედება გაერთიანდა ერთ პიროვნების ქვეშ და მიიღო ერთი მკაფიოდ გამოთქმული სახე და მიმართულება. რასაც ვილჰელმი საჭიროდ დაინახავდა და ბრძანებდა, იმას უნდა დამორჩილებოდა ოსმალეთიცა და ავსტრეთ-უნგრეთიც. ამ ერთნების განმტკიცებას, რაიც საჭირო იყო მოქმედებათა გაერთიანებისათვის, ხელს უწყობდა ის ფაქტიური უსწორ-მასწორობა, რომელიც შინაგანი ძლიერებისა და ორგანიზაციის მხრივ მეტად თვალსაჩინოა ამ სამ სახელმწიფოს შორის. ავსტრეთ-უნგრეთს და, მით უმეტეს, ოსმალეთს ქედი უნდა მოეხარა გერმანეთის კოლოსალურ ძლიერების წინაშე. და როდესაც საქმე მისდგებოდა ერთი მეორის მიყოლასა და დათმობაზე, უთუოდ ავსტრეთ-უნგრეთსა და ოსმალეთს უნდა დაეთმო და გაჰყოლოდა ვილჰელმის თითის ქნევას. თითეულის პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და მილიტარისტული ამბიციები დიდად განირჩეოდა ერთიმეორისგან და გერმანეთის ჰეგემონია თავის თავად, ბუნებრივის სიძლიერით, უნდა გამეფებულიყო ორ დანარჩენ მოკავშირეზე. ასეც მოხდა.

რაც დღე გადის, ეს ჰეგემონია ფაქტიურად უფრო და უფრო მტკიცდება, რადგანაც გერმანეთის მაშველი ხელი ყოველ გზის გაჭირვების ტალკვესი გამოდგა: გამარჯვებული რუსის ჯარი, რომელიც კარპატებში შეუჩერებლივ წინ მიიწეოდა და ის-ის იყო უნდა უნგრეთის ველზე დაშვებულიყო, რომ მომაკვდინებელი მახვილი ჩაეცა ავსტრეთ-უნგრეთის გულში, მხოლოდ გერმანეთის ჯარებმა შეაყენა და მინსკამდე დაახევინა.

დღეს ბრძოლის კრიზისის მომენტში, როდესაც აუცილებელი გახდა ბალკანეთზე ბრძოლის ლიკვიდაციის მოხდენა და გალიპოლ დარდანელის სრული განთავისუფლება, ისევ-ისევ გერმანეთის ჯარი მეკენზენის მეთაურობით გადმოეშვა სამხრეთისაკენ. სამხედრო მასალის მხრივ გერმანეთი იმ თავითვე ჰკვებავს ოსმალეთს და რამდენიმედ ავსტრეთ-უნგრეთს.

თუ წინეთ, ომის დაწყებისას, როდესაც თავისი ძალა არც ერთს მოკავშირეს საკმარისად ნაცადი არ ჰქონდა და მაშასადამე თითეულს მეტი ამბიციისა და ქედმაღლობის საბუთი ეძლეოდა,—თუ სამხედრო მოქმედების დაწყების ხანაში ჰეგემონია გერმანეთისა თავის თავად თავს დაედგა ავსტრეთ-უნგრეთსა და ოსმალეთს,—დღეს, როდესაც გერმანეთის უნივერსული უპირატესობა საქვეყნოდ დამტკიცდა და როდესაც მისმა მიშველებამ ავსტრეთ-უნგრეთი და ოსმალეთი განსაცდელს გადაარჩინა,—დღეს, მით უმეტეს, ვილჰელმის ჰეგემონია შეუდავებელ და სავალდებულოდ არის გადაქცეული. ვილჰელმი დღეს თვითმპყრობელი ბრძანებელია თავისიანთა ბანაკში. და ამ გაბატონებულმა ერთმა ნებისყოფამ შექმნა სტრატეგიულ-დიპლომატიური მოქმედების ერთობა. ამ სახით თვით ეს ერთობა ნაკარნახევი და განმტკიცებულია აუცილებელის და დაურღვეველის ლოღიკით. ოსმალეთ-გერმანეთის მხარეზე ბულგარეთის გადასვლას, რაიცა სულ ერთიანად ოსმალეთის ხარჯზე მოხდა, ადგილი არ ექნებოდა რომ ოსმალეთსაც თანასწორ-ძალოვან და თანასწორ-უფლებიან პარტნერად თავი მოეტანა. ოსმალეთი ვილჰელმის ბრძანებას მორჩილობს და ამ გარემოებამ მათ ბულგარეთი შესძინა და გამარჯვების შანსებიც შეჰმატა. ეს აშკარა და მეტად დიდშედეგიანი დიპლომატიური განარჯვება გერმანეთის დიპლომატიისა მოხდა იმიტომ რომ გერმანეთს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა, რომ ჰეგემონია ვილჰელმის ხელში თავმოყრილი და არა დაქსაქსული ოსმალეთის სულთნის მაჰმედ მეხუთისა და ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის ფრანც-იოსების ხელში.

მაშასადამე ძველი კავშირის გერმანეთ-ავსტრეთ-უნგრეთ-ოსმალეთის მხარეზეა დღეს ერთის თვალსაზრისით განზომილი გეგმა და მოქმედება, ერთი ნებისყოფა და ერთი ბრძანება; მათ მხარეზეა: ერთობა სტრატეგიაში, ერთობა დიპლომატიაში. ყველაფერს ამას გერმანეთის ფოლადის ნებისყოფა გადაჰკრავს, რომელიც ვილჰელმშია განპიროვნებული. თქმა არ უნდა რომ ასეთი ვითარება—ფასდაუდებელი უპირატესობაა იქ, საცა სწრაფი შეთანხმება და ერთობილი მოქმედება მთელი გამარჯვების თავმდებია.

ასეთი ერთსახეობა არ არსებობს საფრანგეთ-რუსეთ-ინგლისის მოქმედებაში, რასაც სამართლიანის მწუხარებით აღნიშნავს ამ სახელმწიფოთა პრესა.

საფრანგეთის ოფიციოზი, დარბაისელი და სიტყვა დამჯდარი „ტანი“ ნერვიულის კილოთი აღნიშნავს: ჩვენი (საფრანგეთ-ინგლის-რუსეთი) მოქმედება შეუთანხმებლობის და გაუბედაობის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ჩვენი მუშაობის სიზანტემ, ჩვენი ნაბიჯის შეცდომათა და ორკეთ ჩაჰკლეს ენტუზიაზმი, რომელსაც შეეძლო მხოლოდ გამოეწვია აქტიური გამოსვლაო“. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამ ბანაკში სამი პირველხარისხოვანი სახელმწიფო დგას: ბრწყინვალე საფრანგეთი ლამაზად მოკაზმული ჯარით, დარბაისელი ინგლისი თავისი მეფური ფლოტით და საიმედო შინაგანი დოვლათით, და დიდი რუსეთი აუარებელი მრავალ მილიონ ჯარისკაცით. თავის გულში თითოეული მათგანი მეორეს პირველობას ექიშპებოდა, წინამძღვარობა სურდა; თანასწორი ამბიციების უფლება ჰქონდა თითეულს და ეს ერთობ ცუდი ნიადაგი გამოდგა ერთი ნებისყოფის გასამეუფებლად. შეუძლებელი გახდა სტრატეგიული, ტაქტიური და დიპლომატიური მოქმედების იდეალური ერთობა.

სწორედ ფაქტიური ვითარება თითეულისა ამას ხელს უშლიდა. არ კმაროდა ერთობის საჭიროების მარტო ერთი შეგნება, საქვეყნოდ, სიტყვიერად და პრესაში ასეთი ერთობა არსებობდა კიდეც, მაგრამ გულის სიღრმეში და შინაგან თვითმოქმედებაში თითეული სხვას ნუკავდა.

თითეულ მათგანს თავისი სიმპატიები გაუჩნდა ბალკანეთში, ერთს—რუმინეთი, მეორეს—საბერძნეთი, მესამეს—ბულგარეთი; ერთი ცდილობდა დანარჩენები თავის სიმპატიის სასარგებლოდ გადმოეხარა და ასე აბათილებდნენ ერთი მეორის ძალებს; „ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმის მაგივრად რომ ემოქმედნათ“, როგორც ამას საფრანგეთის ოფიციოზი გაჯავრებულის კილოთი შენიშნავს:

ამის გამო მოუვიდათ კიდეც დიდი მარცხი, რომელმაც post factum თითეული მათგანი ააღელვა.

საჭირო იყო თვით ფაქტიური სინამდვილე და იძულება რომ ამ სახელმწიფოთა სტრატეგია-დიპლომატიის მოქმედების ფაქტიური გაერთიანება მომხდარიყო. ასეთი ფაქტიური იძულება პირველ ხანებში არ არსებობდა.

საჭირო იყო მწარე დღეების გამოვლა, ისეთ მწარე დამარცხების განცდა, როგორიც ბულგარეთში მოუვიდათ, რომ სერიოზულად ეზრუნათ ამაზედ. ამნაირად, ერთის მხრით, სტრატეგიულ-დიპლომატიური მოქმედება იდეალურ შეერთებისა და თვით შედუღების მაგალითს წარმოადგენს, რომელიც გამოთქმულია ერთი სახელმწიფოს—გერმანეთის — ჰეგემონიაში და გამოსახული ერთი პირის,—ვილჰელმის დიქტატურაში, მეორეს მხრით კი უფრო თავისუფალი მოქმედება ჲ მეტი დამოუკიდებლობის პრინციპი. აქ შესაძლებელია მხოლოდ თანამშრომლობა სწორუფლებიანთა, რომელთაგან არც ერთი არ აჩუმებს თავის გულის ზრახვას და მისწრაფებას. ამ ბანაკში შეუძლებელია დიქტატორული დამორჩილება ერთისა მეორესადმი. შეუძლებელია, საფრანგეთს ინგლისი ეყმოს, ან ინგლის-საფრანგეთი და რუსეთი—რომელიმე მათგანს. თითეულის ფაქტიური ვითარება და ამბიცია პირდაპირ უარს ყოფს ასეთ რამეს. ამაში იქნება ძალაც იყოს, მაგრამ შეთანხმების სახელმწიფოთა უტყუარი სისუსტეც სწორედ აქ რომ მარხია, ამაში ეჭვი არაა. ეს გამოსწორებას მოითხოვს.

პირისპირ დამდგარია ორი სხვა და სხვა პრინციპი, ორი სხვა და სხვა დასაბამი. ვნახოთ, რომელი მათგანი დაიჭერს ეგზამენს.

**მეგრი.**

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბელგეთის ბედი.

ბელგეთის მომავალ ბედის შესახებ კვლავ ახმაურდა პრესა. ამჟამად თვით გერმანეთში ბევრსა სწერენ. ხმა გაისმა რეიხსტაგშიც. ბევრი იმ აზრისაა, რომ ბელგეთს დამოუკიდებლობა უნდა დაუბრუნდესო. თქმა არ უნდა, მოწინააღმდეგენიც იქნებიან; „თქვენ გსურთ ჩვენი მახვილის გამარჯვება რეიხსტაგის დარბაზში გამოგვლიჯოთ?—არა, ეს არ მოხდება!“ საქმე იქნობამდინ გამწვავებულა, რომ აგრარისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ რეიხსტაგის დაკეტვა და შექმნა სახელმწიფო საბჭოსი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა წრის დიპლომატები, მხედრები და დიდებულნი.

### კრაუგევაცის გარშემო.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: ახლო მომავალში კრაუგევაცზე გარდამწყვეტ იერიშს მიიტანენ. ჰალვიცისა და კივესის ჯარები ენერგიულად ილაშქრებენ. კრაუგევაცის დამხობა ამ მოკლე ხანში მოხდება. მისი დაცემა სერბეთის სიკვდილის თანასწორია, ვინაიდან მას საშუალება ერთმევა კრაუგევაცის ქარხნებით ისარგებლოს და [illegible] მოიშველოსო.

### სერბეთს სულს უხუთავენ.

გაზეთების სიტყვით ავსტრო-გერმანელ-ოსმალთა აგენტები პროპაგანდას ეწევიან ოსმალეთში, რათა რაზმები შეადგინონ და თარეშით არ მოუსვენონ სერბეთს. ამით ბულგარებს საშუალებას მისცემენ მთაშავეთში და სერბეთში გაიჭრნენ ფართოდ, ხოლო გერმანთა ჯარებს გაუადვილონ გზა სტამბოლში შესასვლელად.

### ქუხილის მოლოდინში.

„რუსკ. ვ.“ სამხედრო კორესპონდენტი სწერს: სიჩუმე გრძელდება. ამავე დროს გრძელდება ფართო მოქმედების სამზადისი. როდის დაიწყება იერიშები, როდის გავარდება გამანადგურებელი მეხი, ახლო მომავალში მოხდება იგი თუ გვიან, ეს დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რომლის ვითარების გამოქვეყნება აღკრძალულიაო.

### ნაღმოსნის დაღუპვა.

ინგლისელთა ნაღმოსანი № 96 დამხმარე კრეისერს დაეჯახა და დაიღუპა გიბრალტარის ყელში. კომანდიდან დაღუპულად მიაჩნიათ 2 აფიცერი და 9 ჯარის-კაცი.

### სომეხთა საკითხი.

სომეხთა საკითხს მეტად მკაცრად ეკიდებიან როგორც ოსმალეთში, ისე გერმანეთში. აი, სხვათა შორის, რა ჰანგით მღერის ცნობილი თალაათ-ბეი: „მე ვეცდები ორმოცდა-ათ წლით მაინც მოვსპო თუნდა საკითხის აღძვრაც კი სომეხთა რეფორმების შესახებ... სომხები ჰუჭყიანი და საზიზღარი ნაციაა. მათი მოსპობით არავინ არასფერს არ დაჰკარგავს“. ამის შესახებ თვით ლიბერალური გაზეთებიც კი კვერს უკრავენ გერმანეთში: „სომეხთა საკითხი ინგლისელთა მიერ მოჭორილი ამბავია, ხელოვნურად შექმნილი რამ, რათა ოსმალეთის შინაურ საქმეში ხელი ჩასტაკონ. ინგლისის ფული და ინგლისის მიერ წაქეზება იმ სიკეთის ნაყოფს იღებდა, რომ სომეხთა ერი დანაშაულობის სკამზე დაჯდა და საუკუნოდ მოღალატის სახელი დაიმსახურა. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთს პირობებში ოსმალები დაუძინებელი მტრები იყვენ სომხებისა. ამიტომ არც გაგკვირვებია, თუ ანატოლიის გაუნათლებელმა ხალხმა და ფანატიკოსმა სასულიერო წოდებამ ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს სომხებსაო“.

### რკინის გზის მოწესრიგება.

გროდნოსა, ბელოსტოკსა და ვარშავის შუა გერმანელებმა წესიერი მიმოსვლა აღადგინეს.

### დვინსკის რაიონში.

შვეიცარიიდან იტყობინებიან, გერმანელებმა საკმაო ძალებს მოუყარეს თავი დვინსკის რაიონშიო.

### ბარონი ვანჰეიმი.

სტამბოლში გარდაიცვალა გერმანეთის ელჩი ბარონი ვანჰეიმი. იგი 50 წლისა ძლივს იქნებოდა. მან უდიდესი როლი შეასრულა ბალკანეთის საქმეში. ბულგარეთ-სერბეთის შუა კავშირის გაწყვეტამდე იგი სოფიაში მოვიდა და ფერდინანდი აიძულა გარდამწყვეტ მოქმედებას დასდგომოდა. მანვე მოიწვია გერმანელი აფიცრები, ინსტრუქტორები, ბულგართა ჯარების გასაწრთვნელად.

### „ბოროლოსი“ და ოსმალთა წყალქვეშა.

პირეიდან გამოვიდა ინგლისელთა გემი „ბოროლოსი“, კუნძულ კრიტოსთან 30 კაცი მიიღო. ყველა ესენი გერმანელთა წყალქვეშას მიერ დაღუპულ ინგლისის გემი „სელორ პრინცის“ პასაჟირები იყვნენ. კრიტოსის მახლობლად უეცრივ ოსმალთა წყალქვეშამ ამოჰყო თავი. მგზავრები შეფრთხნენ. აურ-ზაურით იწყეს ზღვაში გადაცვენა. უკვე 150 კაცი

გადახტა კიდეც. რამდენიმე წუთის შემდეგ ხომალდის ბაქანზე გამოჩნდა ოსმალთა წყალქვეშას კამანდირი. მან დაწვრილებით გამოჰკითხა გემის უფროსს, თუ პირეიდან 24 საათით ადრე რად გამოვიდა, ან ბერძენთა დროშის ქვეშ რად დასცურავთ, როდესაც გემი ინგლისს ეკუთვნისო. მგზავრთა მხურვალე ხვეწნა-მუდარის შემდეგ, რომელთა შორისაც ერია ეგვიპტის პრინცი მაჰმუდი, ოსმალთა სულთანის ძმა, წყალქვეშას კაპიტანი მოლბა და არ დაღუპა გემი. შემდეგ მისივე მეზღვაურნი დაეხმარნენ გემის მსახურთ და სულ მოკლე ხანში ისევ გემზე აიყვანეს ზღვაში უმწეოდ მოტივტივე მგზავრები.

**სპარსეთის ვითარება.**

თანდათან ცხადი ხდება ხმები ოსმალეთ გერმანეთ ავსტრო სპარსეთის შორის საიდუმლო ხელშეკრულობის დადების შესახებ. ამ მოვლენას იმით ადასტურებენ, რომ ამ ხანად ამობილიზებულმა ჯარმა მოიყარა თავი, მეორე კიდევ შაჰმა მიიღო გერმანეთის კონსული ჰიფერ-ჟარალა, რომელიც რუსეთ-ინგლისის წინაალმდეგ დიდ პროპაგანდას ეწევა,

**გერმანელთა ახალი ჰაეროპლანები.**

გერმანელთ ახალი ტიპის ჰეროპლანი გამოუგონიათ. მთელი მანქანა ისეთ ნაირად შეუღებიათ, რომ ადამიანს მისი გამოცნობა მეტად გაუძნელდება.

---

ოსმალთა კავკასიის საწინააღმდეგოდ მომქმედ ლაშქრის განაწილება ასეთი ყოფილა:

18 ბათალიონი პირველ, მეორე და მეთხე კორპუსებისა სდგას ჰორობის სამხრეთით; 72 ბათალიონი მეათე-მეთერთმეტე კორპუსებისა არის ქერთაქთან- 70 ბათალიონი მეცხრე მეთერთმეტე კორპუსისა, იმყოფება მდინარე არაქსთან. 70 ბათალიონი მეცამეტე კორპუსისა სდგას მდინარე ეფრატსა და ვანის ტბის სამხრეთით, მხოლოდ 30 ბათალიონი და ქურთთა რაზმი იმყოფება ვანის ტბის ჩრდილოეთით.

## უკანასკნელი ფოსტა

**წყალქვეშა „ტიურკუაზი“.**

ფრანგთა საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ მათი წყალქვეშა „ტიურკუაზი“ მარმარილოს ზღვაში დაღუპულა. 2 აფიცერი და 24 ჯარისკაცი ტყვედ წაიყვანეს.

**ახალი ტრანსპორტები კავალიდან.**

სოფიიდან იუწყებიან, რომ კავალის წინ ახალი ტრანსპორტები გამოჩნდა ინგლის-ფრანგების ჯარებითაო.

**ასკვიტის მოხსენება.**

ასკვიტმა თემთა პალატაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აწმყო მდგომარეობის შესახებ, რომლის „ჰორიზონტი ჯერ კიდევ ღრუბლებითაა მოცული“. ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო დარდანელის ვითარებამ. აქ არც ერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, რომ წინდაწინვე ჩვენს მოკავშირეებთან ერთად არ გაგვეზომნოსო. ვენიზელოსის სიტყვით გამხნევებულნი, ვფიქრობდით, საბერძნეთი მხარს დაგვიჭერდა, მაგრამ მეფემ გააცრუა ჩვენი იმედებიო. როგორ წავა ჯერ-ჯერობით სერბეთის დღე, არვინ იცის, ეს კია, რომ მოკავშირენი უწმინდეს მოვალეობად ვრაცხთ ამ ომის პირველ ყვავილად სერბეთის თავისუფლება იყოს აღიარებული. ბოლოს ასკვიტმა დაათავა: ჩემს მოვალეობის სიმძიმეს კისრიდან იმ დრომდე არ მოვიხსნი, ვიდრე ნდობას მიცხადებს მეფე, პარლამენტი და ჩვენი ქვეყანაო.

## ბრძოლის ველზედ

რაც შეეხება რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირს, ბრძოლა, როგორც წინა დღეებში, მხოლოდ ფრონტის წვერებზე სწარმოებს, რიგა-დვინსკის რაიონში და გალიციაში. დღევანდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ბრძოლა ძალიან გაღვივებულა რიგის რაიონში. შლოკის მიდამოებში და კემერნიდან გერმანელებს ძლიერი იერიშები მოაქვთ. რუსები უმკლავდებიან და იერიშებს იგერიებენ. ეტყობა გერმანელები ძალიან აწვებიან რუსებს მდ. დასავლეთ დვინის გაყოლებაზე, რადგანაც სტახტო გაზეთების სამხედრო მიმომხილველები, რომელთაც საზოგადოთ მეტი ცნობა მოსდით, ხაზგასმით აღნიშნავენ, მდინარის მარცხენა ნაპირი ჯერ რუსებს უჭირავთო. გუშინდელ დეპეშაში კიდევ ნათქვამი იყო, რომ ფრიდრიხშტადტის ზემოდ გერმანელები შეეცადნენ მარჯვენა ნაპირზე ნავებით ხალხი გადაესხათ. სჩანს, ფრიდრიხშტადტიდან ვიდრე რიგის ყურამდე მდინარე დვინის გაყოლებაზე, ზოგ-ზოგან მარცხენა ნაპირს გერმანელები დაპატრონებიან კიდეც; ზოგან კიდევ ახლო მისულან. გალიციაში რუსები ავსტრიელების ძლიერ სიმაგრეებს შეხეჩებიან. ქარიშხალურ ცეცხლის შემწეობით, ავსტრიელები შეჭრილან სოფელ სემიკოვიცში, მაგრამ კონტრ-ქარიშხალურ ცეცხლის შემწეობით რუსებს ისინი გაურეკნიათ და თანაც ტყვედ წამოუყვანიათ 5000-დე გერმანელი და ავსტრიელი; მაგრამ ავსტრიელებს და გერმანელებს აქ უმალვე კონტრ-იერიში განუახლებიათ და სასტიკი ბრძოლა გაჩაღებულა, რომელიც, დეპეშების სიტყვით, ჯერ არ დამთავრებულა.

კავკასიის ბრძოლის პირზე მოპირდაპირეთა მოწინავე ნაწილთ შეტაკება მოსდით შავი ზღვის პირა რაიონში, თორთუმის ტბის რაიონში და მდ. არაქსის ჩრდილო სოფელ ალა-კალისხორსანთან.

საფრანგეთის ტერიტორიაზედ ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

მეგრი,

# შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი, 21 ოქტომ. ოფიციალი, დასავლეთი ფრონტი.** შლოკის რაიონში გერმანელებმა გამოილაშქრეს და რუსთა პოზიციებს ეკვეთნენ საგმაცესთან და კემერნთან, მაგრამ ამაოდ, რუსებმა მარჯვედ მოიგერიეს. დვინსკის რაიონში სწრაფი იერიშით რუსებმა აიღეს ორი გამაგრებული ადგილი სვენცენის ტბის სამხრეთით. ბევრი ტყვე და ტყვიის მფრქვეველები წამოასხეს. ჯერ-ჯერობით დათვლილია 4 აფიცერი და 500 ჯ. კ. გუშინ მთელი დღის განმავლობაში გერმანელთ მოჰქონდათ იერიშები სოფ. გუტალისოვკა—კამენუხაზე. იერიშები მოგერიებულ იქნა, ამასთანავე რუსებმა ასამდე ტყვე წამოიყვანეს. მდ. პუტილოვკაზე ავსტრიელნი შეეცადნენ გადასვლას, ხიდებიც გასდეს, მაგრამ მალე უკუგდებულ იქნენ და ხიდებიც ჩაუშალეს. ნ. ოლექსინცთან რუსის რაზმები თოფის გაუსროლივ მივიდნენ ჩასაფრებულთა თხრილებამდე, მოულოდნელად ჩაუცვივდნენ შიგნით და 2 აფიცერი და 42 ჯარის კაცი წამოიყვანეს ტყვედ. ს. სოსნუშვოსთან მტერმა ჯერ ზურგი გაიმაგრა არტილერიით, შემდეგ ქარიშხალურ სროლით სოფელში შემოიჭრა, თავის მხრით რუსებმა სროლით უპასუხეს. კონტრიერიში სრული გამარჯვებით დასრულდა. 5 ათასი ავსტრო-გერმანელი წამოიყვანეს ტყვედ. მალე მტერმა კონტრიერიში განაახლა. ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ფრონტი.** შავი ზღვის სანაპირო რაიონში და არაქსის ჩრდილო სოფლებში ალლაყალისში და ხოროსანში მოწინავე რაზმთა შეტაკება ხდება. ვანის რაიონში რუსის ჯარებმა შეუტიეს ქურთელ მეჯოგეებს და 1400 სული საქონელი წაართვეს. ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე, სოფ. დამაღილისა და ყარამიულის შუა, რუსის ხომალდმა სროლა აუტეხა ქურთებს.

## საგაზეთო გადმოხვეწილები

ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ აჭარელების პროცესზე და ბ. სიბირსკიზე. ლაპარაკი ერთსა და იმავე დროს აჭარლებზე, ამ ტანჯულ ხალხზედ, რომელთათვის თანამედროვე ომი რისხვა და მეხი იყო და ბ. სიბირსკიზე—პატარა ჟურნალისტზე, რომელმაც ამიერიდან პატიოსანი ჟურნალისტის სახელი შეარცხვინა, დიდი პატივია ამ უკანასკნელისათვის. რა არის აჭარა ბ. სიბირსკისათვის და სიბირსკი აჭარისათვის? მაგრამ არიან პატარა ადამიანები, რომლებიც მუდამ დიდ საქმეს ეტმასნებიან და იქ იდგამენ სავარძელს, სადაც აშკარათ არ არის მათი ადგილი და ბ. სიბირსკიმაც, რომელიც მოკლებული ყოფილა სათნოებას და გაგეობის უნარს სწორედ იქ დაიდგა სავარძელი, სადაც ყველაზე უფრო სათნოება და გაგების უნარი იყო საჭირო. მთელ აჭარას მან ღალატი დასწამა. მან სთქვა: „აჭარას, როგორც მთელ კუთხეს არ უღალატნია, მაგრამ ცალკე პირები აჭარლებისა და ძალიან მრავალ რიცხოვანიც, მტრის მხარეს გადავიდნენო“. ამაზედ უკეთ და სავსებით ბრალდების თქმა შეუძლებელი არის, მაგრამ ბ. სიბირსკის არ ესმის თავის სიტყვების მნიშვნელობა და ახალ ფაქტიურ შენიშვნას იძლევა „კავკაზსკოე სლოვო“-ში. მზის განათება კარტოფილის სანთლით, ბავშვების საქმეა და რაცა სთქვა ბ. სიბირსკიმ იქამდის ცხადია, იქამდის ნათელია, რომ ვერავითარის ფაქტიურის შენიშვნით ველარ შესძენს უმანკოებას თავის ცოდვილ წერილს. თუ ბ. სიბისრკის გულწრფელად სწამს, რომ ცალკე აჭარელები მრავლად გადავიდნენ მტრის მხარეს, თავის ნებით, მტკიცე სურვილით და წინად განზრახულ აზრით—მაშინ ისიც უნდა სთქვას, რომ აჭარას, მთელს და არა მის მცირე ნაწილს, მართალია, უღალატნია ფიცისთვის. არასოდეს არ ხდება ისე, რომ მთელმა ხალხმა ჩაიდინოს ღალატი, მთელმა ხალხმა მოახდინოს რევოლიუცია, მთელმა ხალხმა გასწიოს ომი. ღალატს, რევოლიუციას, ომს მუდამ მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი ახდენს ხალხისა, მაგრამ პასუხის მგებლობა კი მთელ ხალხს ეკუთვნის. ბ. სიბირსკი ამ ჟამად არა ომობს და მხოლოდ უმსგავსო წერილებს სწერს, მაგრამ ფაქტიურად იგი მეგობრულ განწყობილებაშია სახელმწიფოს მტრებთან. მით უმეტეს დიდია პასუხისმგებლობა ყველასი და მთელი ერისა, როცა მისი ნაწილი, თუნდაც უმცირესი, ღალატს სჩადის. სირცხვილი მთელ კუთხეს, მთელ ერს ედება კისრად. ოდესღაც რამდენიმე ირლანდიელმა დინამიტები აფეთქეს ლონდონში და ისტორიამ ამ კერძო აქტს რამდენიმე კაცისას „ირლანდიელების ლონდონზედ დინამიტებით გალაშქრება“ უწოდა. თუ ბატონ სიბირსკის სწამს, რომ აჭარლები მრავლად გადავიდნენ ოსმალების მხარეს, ორასი, სამასი კაცი ხომ იქნებოდა ეს მრავალი, მაშ რაღამ უნდა შეუშალოს ხელი ისიც სთქვას, რომ ყველა აჭარლები მოღალატენი ყოფილან! აი, ეს არ ესმის ბატონ სიბირსკის და სამარცხვინო იარლიკს აკრავს მთელ ხალხს, თითქოს ხალხი კვასის ბოთლი იყოს, რომელსაც ადვილად მოაძრობ მერე ამ იარლიკს. ასეთი უცერემონიო მოპყრობა მთელი ერისა, აშკარად გვიჩვენებს რა ტიპი უნდა იყოს ეს ბატონი სიბირსკი! აქვს მას სამშობლო, უყვარს მას თავისი ხალხი, რომელიც არასოდეს არ უნდა ატარებდეს მოღალატის სახელს და არსებობს მისთვის წმინდა გრძნობანი პატიოსნებისა? აი რა კითხვები გებადება, როდესაც იგონებ მას და უნებლიედ ფიქრობ: არიან ადამიანები, რომლებიც სცხოვრობენ ბინძურების სამოსელში და საჯაროდ იქცევიან. არ ინდობენ არვის აზის გრძნობას, რადგანაც ბუნებას არ მიუცია მათთვის არც დედა, არც სამშობლო, არც გრძნობა პატიოსან სახელის ტარებისა,

შ. ამირეჯიბი.

## ძვირფასი დრო და აუნაზღაურებელი დანაკლისი

ერი, ენის თავისუფლებას მოკლებული, ერი ეკლესიაში, ღმერთთანაც კი უხერხულად მგრძნობი თავის თავისა, ერი, რომელსაც წარსული დიადი აქვს და აწმყოში მხოლოდღა იმედებით იბრუნებს სულს, სწორედ ისა ვართ ჩვენ.

ჩვენი ერის არსებობის ნიშნებიც კი არა-ეროვნულია ან და ნახევრად ეროვნული.

ერი აჭრელდა, აჭრელდა ენით, აფერადდა მოსახლეობით, ალაპარაკდა ღმერთთანაც უცხო ენით. მაღალი წოდება არა თუ თავიანთ წრეებში, თვით ოჯახებშიც გარუსების გზას ადგია დღემდე, ჩვენი ეროვნული დაწესებულებანი არაფრით არ მოგაგონებენ ქართულობას. ქართულ სკოლაში უცხო ენა, ქართულ ეკლესიაში უცხო ენაზე წირვა-ლოცვა, ქართულ დაწესებულებებში უცხო ენაზე ლაპარაკი, ქართულ საზოგადოებებში უცხო ენა... მუშა ხალხმა გაიკვეთა „სწავლა“ და „გადასწყვიტა“, რომ სულ ერთია „პროლეტარისათვის“ რა ენაც უნდა იყვესო. დარჩა მხოლოდ უცხო ენის ცოდნის მონატრული ქართველი გლეხი და შებღალული დასუსტებულ-დასნეულებული ქართული თეატრი.

ქართველ ინტელიგენტ-არისტოკრატთ და თვით დემოკრატთ ხანდისხან მაინც გასართობად ესმოდათ სამშობლო ენაზე ბაასი ქართულ თეატრში. ხანდისხან ხედავდენ ნათესავ ტიპებს ქართულს სცენაზე. ხანდისხან მაინც ახსენდებოდათ თავიანთი თავი როგორც განკერძოებული ეროვნება: ქართულ თეატრში თვალწინ ეშლებოდათ სამშობლოს მიწა-წყალი, მისი ხალხი, მისი სიყვარულის აუცილებლობა. ესეთი სულიერი დაკმაყოფილება კიდევ ჩაუმქრალი ქართველი სულისა ასე თუ ისე კმაყოფილდებოდა არსებული ქართული თეატრით.

ეს ერთად-ერთი დაწესებულება იყო, სადაც შესვლას არავინ გვეცილებოდა და სადაც მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხი იყრიდა თავს.

ერთის სიტყვით, ქართული თეატრი— ეს ერთად-ერთი ნამდვილი წმინდა აურეველი ეროვნული დაწესებულება იყო.

ვამბობ იყო, იმისათვის, რომ გვქონდა თეატრი, ადგილი, სადაც ქართველი მსახიობი თავისუფლად მოვიდოდა და თავისუფლად იგრძნობდა თავს, სადაც ქართველი მსახიობი იპოვნიდა ზნეობრივ, სულიერს და ნივთიერ დახმარება-დაკმაყოფილებას. იყო ადგილი, სადაც ქართული თეატრის მესვეურნი და გულშემატკივარნი გაიჩენდენ საქმეს სამშობლო თეატრის ხელის შესაწყობად, გასაუმჯობესებლად.

მართალია, ჩვენს პატარა თეატრს დიდს მეტოქეობას უწევდნენ მილიონიანი თეატრები სახაზინო და საარტისტო საზოგადოებისა, მაგრამ ქართული თეატრის არსებობა საკმარისი იყო, რომ ქართულ სცენას თავისი მაყურებელი მაინც ყოლოდა მსახიობთა და დრამატიულ საზოგადოებაზე იყო დამოკიდებული უფრო მეტად გაეფართოვებინა წრე ქართველთა მუდმივ ქართულის სცენის პატივისმცემელთა და ამ მხრივ გაეწიათ მძლავრი კონკურენცია, რომ ქართველობას სხვა თეატრებისთვის ებრუნა პირი და ისევ ჩვენსას დაჰბრუნებოდა.

იყო დრო, როცა ქართული თეატრი სავსე იყო მაყურებლებით და ქართული დასიც ჰგრძნობდა კმაყოფილებას და ეწაფებოდა უმეტეს და უმეტეს სულიერად ამაღლებულიყო პატივისმცემელ მსმენელთა წინაშე. მაგრამ როცა საერთო ცხოვრების პირობამ უმეტეს განაცხოველა ყოველივე ეროვნული თქმის სიყვარული; როცა საერთო პირობებმა ქართველთა შორის გამოაბრუნა მიმქრალი და განაბული ეროვნული სულის კვეთება, სწორედ მაშინ დაეცა მეხი ქართულ სცენას, ქართველ მსახიობთა ენერგიას, ქართველ თეატრის თაყვანისმცემელთა იმედებს და მთელს ქართველ ერს. მაშინ გადიბუგა, შეიძლება ქართველისავე დაუდევრობით, ქართველთა ეროვნების ერთად ერთი თვალსაჩინო ტაძარი... ველარ გაისმის მწყობრი, ეროვნული სისტემატიური მუშაობა, ველარ იკრებს ქართველი მსახიობი ენერგიას სამუშაოდ და მსმენელთა წინაშე ალსამაღლებლად.

დაებნა გზა დრამატიულ საზოგადოებას, დაიფანტა ქართული სცენის მსმენელი, ქართველი ხალხი ეჩვევა გარეშე ერის ტიპების ხილვას. ცხოვრებაშიც მოკლებული ნამდვილი ეროვნული ტიპების ნახვას, მოაკლდა მას სცენიდანაც ასეთი პიროვნებათა ხილვა. ულვივდება და უნვითარდება გემოვნება და მისწრაფება უცხო სცენით, იკარგება ქართული სცენა, იკარგება ქართულ მსახიობთა ენერგია და მისი შემადგენლობაც თანდათან დაიცარება და შესუსტდება. იფანტება ქართველი ერის შემაერთებელ - შემაკავშირებელი ძალა, ვითარდება არა ეროვნული ფსიხიკა. ამას ხელს უწყობს ძლიერი თეატრი ძლიერი ხალხისა, რომლის აშენებას ჩვენში დიადი მნიშვნელობა აქვს. *) ჩვენი საზოგადოება კი ჩვეულებრივად მართავს კრებებს, ჩვეულებრივად ლაპარაკობს, ლაპარაკობს და მოქმედებას განუსაზღვრელ მომავალს ანდობს.

არ ვიცი რა და რა მოსაზრებები ჰქონდა და აქვს იმ კრებებს, რომელთაც იკისრეს ქართული თეატრის აღდგენის საქმე, რომ პრაქტიკული მუშაობა შესწყვიტეს. მაგრამ ჩემის ფიქრით დიდი შეცდომა ჩაიდინეს მუშაობის შეჩერებით. ერთის მხრით ზემოთ მოყვანილ მიზეზების გამო და უმთავრესად კი იმიტომ, რომ ხელიდან უშვებენ დიად პრაქტიკულ სამუშაო დროს, როგორიც შეიძლება ალარასოდეს არ მობრუნდეს. და რატომ? ქართული თეატრის დაწვა დიდი უბედურება იყო ქართული ერისათვის. დიდ უბედურებადაც მიიჩნია ქართველმა ხალხმა და ყველას, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა აეძრა სურვილი უმჯობესი და საკუთარის თეატრის შეძენისა. მუშაკთა ენერგია და ხალხის გულში ნიადაგი ძლიერი იყო როგორც სამოქმედო ისე ნივთიერ დასახმარებლად. მახსოვს და არც დამავიწყდება ის თავგანწირული ცნობა, რომელიც „სახალხო ფურცელში“ ამოვიკითხე იმ უბედურების შემდგომ ახლო ხანებში, გორიდან იწერებოდნენ, რომ ადგილობრივმა ბანკის მომუშავებმა გადასწყვიტეს იმ ხარჯის მაგიერ რასაც შუადღის დროს ჩაის სმით ეწევიან, ამიერიდან ჩაი აღარ დალიონ და იმისი ხარჯი შესწირონ ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდსაო. დიახ, ასეთი იყო თავგანწირულება! მთელმა ჯგუფმა ხალხისამ, ხელში აღებული ლუკმა შეაჩერა, ისევ შიმშილი არჩია და თავის სამშობლო თეატრს მიაწოდა თავისი ლუკმის ფასი! ეს უკომენტარიოდაც ბევრს ამბობს—თუ რა დიადი იყო თავგანწირულება. დიახ, ამ დროთი საჰირო იყო სარგებლობა! შემდეგ მართალია ჩვენს ერს საერთო საშინელი გაჭირვება ადგია, მაგრამ არის ნაწილი ხალხისა, რომელთაც დღეს ბლომად უტრიალებს ფული ხელში. ეს შემთხვევითი ფული მას მალე გაუქრება ხელიდან და იმის მაგიერ, რომ უმსგავსო და უშედეგო რამეზე არ დახარჯოს დიდის სიამოვნებით დაეხმარებოდა სამშობლო სცენას. დიახ, დღეს დიდძალი ფული ტრიალებს და თუ ბევრისათვის მეტად გამძიმდა ცხოვრება, უეჭველია, ბევრს ძილშიც არ მოესიზმრებოდა ეგოდენი შეიძინა და ამიტომ ამისთანა დროს ვერ ვიშოვნით მესამედ, ლტოლვილება და გატაცება სურთ ეროვნული საქმით ეხლახან, როგორც პირველი აღფრთოვანება დიდია, შეიძლება მომავალში უმეტესი იქნეს და ამისი იმედი გვაქვს, მაგრამ არ უნდა გაგვეშვა ხელიდან ეს დროც, რომ ამით სამშობლოსავე სასარგებლოდ გვესარგებლა. შემდეგ, მგონია, შემცდარია ის აზრი, რომ თეატრის ასაგები ფულის გამოღება ქართველ ხალხს ოდნავ რამით უკან დასწევდა და შეავიწროებდა. ის ერი, რომელმაც 400,000 მეომარი გამოიყვანა, რომელმაც 400,000 მარჩენალი გულის ნადები შვილი დაუფასებელი და აუნაზღაურებელი, რუსეთის ძლიერებას უმსხვერპლა, იმას 400,000 მანეთის გამოღება და თუნდაც მილიონის გამოღება თავის პატარა სამშობლოს სცენის სასარგებლოდ ვერ დასწევს უკან, ის კი არა პრაქტიკულად დანახული საქმის წინ წაწევა კიდევ მეტად გაამხნევებს ერს სამშობლოს საკეთილდღეოდ, სამოქმედოდ.

ეს კი არა, დღევანდელ, ამ მძიმე უმოქმედობა-ენერგიის დაცემას და პესიმიზმს უფრო ხელს უწყობს. დიახ, ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მოქმედება და საქმიანობა ყოველივეს შესძლებს, გაუჩინარს გააჩენს, შეუძლებელს შეიძლებს, მოულოდნელს სინამდვილედ აქცევს. არ მიუთითებ ქართველთაგან ნაცად ხანგრძლივ გამოცდილების დასკვნაზე ანდაზაზე: „ცდა ბედის მონახევრეაო“. მიუთითებ ყოველ დღე თვალ წინ მდგარ დაუვიწყარ ნიკო ცხვედაძისაგან აგებულ ნაშთზე საარაკო თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაზე... უფულოდ მილიონად ღირებული შენობა ააგო!! დიახ, ეს გამამხნევებელი მაგალითი არ უნდა დაავიწყდეს არავის და თუ მოქმედება სწყურიან ვისმეს მოქმედებას ნაყოფიც მალე იქნება. დიახ, დღეს უფრო სხვა დროა. ქართველ საზოგადოებასაც სწყურიან სამშობლოს საკეთილდღეოდ მოქმედება და დღეს დაყოვნება ერთის წუთითაც აუნაზღაურებელი მატერიალურ-ზნეობრივი დანაკლისი და ზარალია.

გ.—ზიანი.

*) სახაზინო თეატრის მსგავს შენობას ბევრი შუაგულ რუსეთის დიდი და მდიდარი ქალაქებიც შენატრებენ.

## საზოგადოებანი და კრებები

**ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.**

21 ოქტომბერს კრება ჰქონდა ხსენებულ საზოგადოებას, რომელმაც თავის წარმომადგენლებად ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში აირჩია ე. ს. თაყაიშვილი, ა. თ. ყიფშიძე და ბ-ნი ს. გორგაძე. შემდეგ კრებამ კამათი გამართა ბ-ნ გორგაძის თეზისებზე ქართულ მართლწერის შესახებ, რომელი თეზისები უკვე აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში. გარჩეულ იქმნა პირველი სამი თეზი; უკანასკნელი თეზისების გარჩევა გადაიდვა შემდეგი კრებისათვის.

**ფარმაცევტთა კრება.**

21 ოქტომბერს კრება ჰქონდათ აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტებს. კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთ აფთიაქში, ეგრედ წოდებულ მოსწავლეებს 3—4 თვის განმავლობაში სრულიად არ ეძლევათ ჯამაგირი; საცა და როცა ეძლევათ ჯამაგირი, ეს მოსწავლეები ღებულობენ თვეში 10—25 მან.; აფთიაქარის თანაშემწეთ ეძლევათ თვიურად 40—60 მან. აქედან გამონაკლისს შეადგენენ ჰაინისა, ოტენისა და მაკერის აფთიაქები, საცა მოსწავლე პირველ წელს ღებულობს თვიურად 40 მან., მეორე წელს 45 მანეთს და მესამე წელს 50 მანეთს; აფთიაქარის თანაშემწენი ღებულობენ პირველ წელიწადს თვიურად 80 მანეთს, მეორე წელიწადს 90 მანეთს და მესამეს 100 მანეთს და მეტს.

კრებამ დაადგინა შემოღებულ იქნას ჯამაგირების მინიმალი ნორმა: მოსწავლეებს პირველი წლის განმავლობაში თვიურად არა ნაკლებ ორმოცი მანეთისა, მეორე წელიწადს—50 მანეთისა და მესამე წელიწადს 55 მანეთის; მეაფთიაქის თანაშემწეს პირველ წელიწადს თვიურად არა ნაკლებ 80 მანეთისა, მეორე წელიწადს 80 მანეთისა და მესამეს 100 მანეთისა. სიძვირის დროს ჯამაგირები ასე უნდა გადიდდეს: ვინაც ღებულობს 40—50 მანეთს, იმას უნდა მიემატოს ზედმეტი 25 პროცენტი, ვინც ღებულობს ხუთი თუმნიდან 100 მანეთამდე, მას უნდა მიემატოს 20 პროცენტი, ხოლო 100 მანეთზე ზევით ვინაც ღებულობს, იმას უნდა მიემატოს 15 პროც. კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ეცადოს დადგენილებათა განხორციელებას.

## ახალი ამბავი

**სასახლეში.** 21 ოქტომბერს მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, ინება სასახლეში სადილად მიეწვია თავისი თანაშემწე, უმაღლესი კარის გოფმეისტერი, ბ-ნი პეტერსონი, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი და ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

✦ **ლექცია.** კვირას, 25 ოქტომბერს, დილის 10 1/2 საათზე, ძმ. ესიკოვების ნაქთნ ცირკის შენობაში, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით და ამავე საზოგადოების სახსრის გასაძლიერებლად, ბ-ნი სამსონ ფირცხალავა წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ საგანზე: „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** ახლად გახსნილმა განყოფილებამ დაბა ზესტაფონში თავის გამგეობის წევრებად აირჩია ვლ. ივ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), ალ. ზ. წერეთელი (თავმჯდომარის ამხანაგი), მღ. კონსტ. დავ. ანთაძე (მდივანი), მელ. გალ. გაჩეჩილაძე (ხაზინადარი), მიხ. მახ. სიხარულიძე, პანტელეიმონ (იგივე პლატონ), თეიმ. კიკნაველიძე და იორ. მიხ. გოცაძე; მათ კანდიდატებად—ვას. თეიმ. არდიშვილი, პროკ. კალატოზი და პავ. გიორ. გველესიანი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: კონსტ. ბეს. მოდებაძე, ბ-ნი რევინ გედევანიშვილი, კონსტ. გიგინეიშვილი და ნიკ. კონსტ. ბერიძე.

✦ **გაჭირვება სოფლად.** გორის მაზრის სოფლებმა—პატარა და დიდმა ჯვარებმა, ბორცვანმა და ბიტნარმა—წერილობით სთხოვეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ საკვები მასალა გვიშოვეთო. ამასთანავე ხსენებული სოფლები თხოულობენ, რომ საკვები, რაც შეიძლება, იაფი იყვეს და ფასიც ნაწილ ნაწილ გადახდეთ, რადგან ერთბაშათ მთელი ღირებულობის შეტანა არ შეუძლიათ. ხსენებული თხოვნა საქველმოქმედო საზოგადოებამ ქართლის კოოპერატივთა ბიუროს გადასცა.

✦ **საკვების ყიდვა.** როგორც წინად ვწერდით, ქართლის კოოპერატივთა ბიურომ დაავალა თავისს წევრს, ბ-ნ ე. კარბელაშვილს, ჩრდილო კავკასიაში წასვლა სოფლებისათვის საკვების საყიდლად. მაგრამ რადგან ზოგიერთ გარემოების გამო ბ-ნ კარბელაშვილის გამგზავრება დაგვიანდა. ამიტომ ფქვილისა და ხორბლის ყიდვა ქართლის სოფლებისათვის ბიურომ მიანდო ბ-ნ დ. ლუკაშვილს, რომელიც ამ ჟამად ეკატერინოდარში იმყოფება და იქიდან საკვებს გზავნის კახეთისათვის.

✦ **დაჯილდოვება.** წმ. ანას მეორეს ხარისხის ჯვრით და ხმლით დააჯილდოვეს თურქესტანის მსროლელთა ბრიგადის სამხედრო ექიმი შალვა კოკოჩაშვილი. მესამე ხარისხის წმ. ანას ჯვრით, ლენტით და ხმლით იქმნა დაჯილდოვებული ნიკოლოზ მახვილაძე.

✦ **ცეცხლი.** 21 ოქტომბერს, ღამით, ცეცხლი გაჩნდა დიდი მთავრის ქუჩაზე სადურგლო სახელოსნოში (№ 25). აქედან ცეცხლი გადავიდა მეზობელ თივის საწყობსა და გენადის წყლების ქარხანაზე. სადურგლო და თივის საწყობი სრულიად დაიწვა. ცეცხლის მქრობელმა რაზმა გენადის ქარხანას მოუსწრო და გადაარჩინა. ზარალი და ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. სადურგლო და თივის საწყობი დაზღვეული არ ყოფილა.

✦ **კახეთის რკინის გზის გარშემო.** თავად-აზნაურთა მარშლებმა და დეპუტატებმა, თავად-აზნაურთა წლიურ კრებაზე არჩეულმა საგანგებო კომისიამ, კახეთის რკინის გზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებად დასახელებულებმა საერთო კრებაზე 21 ოქტომბერს დაავალეს ნ. ი. ნიკოლაძეს პეტროგრადს წავიდეს კახეთის რკინის გზის საქმეების გამო.

✦ **ხოლერა.** 22 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში იმყოფებოდა 51 ხოლერიანი კაცი. ახალი ავადმყოფი არავინ მიუყვანიათ.

✦ **გადამდები სენი.** 22 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 98, სახადიანი 53, საოფლიანი 38, ხუნაგიანი 28, მუცელიანი 6 და ყვავილიანი 2 კაცი.

## სასიამოვნო გარათი

ჩვენმა თანამშრომელმა, პატივცემულმა ბ. ალექსანდრე ყიფშიძემ გუშინ შემდეგი წერილი მიიღო, რომელსაც ვბეჭდავთ უცვლელად:

,,საშა!

ამასთანავე გიგზავნი 4,500 მ. °/₀ ქაღალდებს. შიშველი ვიშევ და შიშველივე ჩავალ სამარეში. ეს ფული ანდერძით მინდოდა დამეტოვებინა, მაგრამ ეხლა გაჭირვების დროა და ეხლავე ვასრულებ ჩემ ანდერძს. ცოტაზე ნუ დამემდურებით, ჩემს ქონებას ბიბლიოთეკას და მუზეუმს ვანდომებდი. თუ კიდევ ჩემს სიცოცხლეში მოვაგროვე რამ, დამატებით გაახლებ.

1) 1000 მ. რენტა ქართულ თეატრზე.
2) 1000 მ. ჩემ კაბინეტს (ე. ი. მუზეუმს) } ხელუხლებ.
3) 500 მ. საეკლესიო მუზეუმს. }
4) 300 მ. ფილარმონიულ საზოგადოებას.
5) 300 მ. ამავე საზოგადოებას ნოტების დასაბეჭდად.
6) 300 მ. ქ. საქველმოქმედო საზოგადოებას.
7) 300 მ. ქალთა ქართველ სკოლას.
8) 300 მ. ქ. ლიტერატორთა სახლის ასაშენებლად.
9) 200 მ. ქ. გიმნაზიის უფასო სასადილოს.
10) 200 მ. ნიკო ლომოურის ფონდს.
11) 100 მ. ვაჟა-ფშაველას ფონდს.

4,500 მან.

თუ დაინახო საჭიროდ სხვა საზოგადოების ხელის გამართვა, მომწერე და ფულს გაახლებ. სამასი თუმნის რენტა ქართლში გავგზავნე საქველმოქმედო მიზნით. ჩემს კიბინეტს ვსწირავ ათას მან. რენტით, რომ თანხა ხელუხლებელი იყოს და მხოლოდ სარგებელი მოახმარონ წიგნების შეძენას, ჩარჩოების ან ყდების გაკეთებას და სხვ.

საეკლესიო მუზეუმს ჩემი ფული თანხად უნდა ჰქონდეს და სამი წლის სარგებელი მოჰხმარდეს ხოლმე ხელთნაწერის დაბეჭდვას. ნუ გამოაცხადებ ვისგან არის შემოწირული ფულები.

იყავ კარგად.

შენი ძმა №. №.

## ქართული ვაჭრობა მეთვრამეტე საუკ. მიწურულში *)

1725 წლისათვის თბილისში ქართველ ვაჭართა, ხელოსანთა და მუშათა რიცხვი 30 ათასზე მეტი იყო. თბილისში არსებობდა მაშინ 14 ქარვასლა ქართველ ბატონიშვილებისა, სადაც მხოლოდ ქართველები ისხდნენ და ვაჭრობდნენ. ამ დროს ქარვასლებს გარდა თბილისში იყო დახურული ბაზარი; შუა ბაზარი, მეიდანი, სეიდაბადი **ვალესკარი** და სხვა ასეთი კუთხეები, სადაც სხვა მოვაჭრეთა შორის ბევრი იყო ქართველთა სავაჭროებიც. მტრის მოსვლის მოლოდინში თბილისში გაიმართა ქართველების კრება, რომელსაც მეთაურობდნენ ს. ლეონიძე, დოსითეოს ნეკრესელი, ეპისკოპოსი კაცი მეტად მხნე და გამჭრიახი, გვარად ჩერქეზიშვილი. ამ კრებაზე ერთხმად ის აზრი გამოიტანეს, რომ თბილისიდან არც ერთი ქართველი არ დაძრულიყო. ვინც წავიდოდა, ის ქვეყნის მტრად და მოღალატედ იქნებოდა გამოცხადებული. კრებაზე ს. ლეონიძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ **ყაჯარი** ყოველის ღონით დაერწმუნებინათ, რომ ქართველობა რუსებს არ ემხრობოდა, არც მათი შემოყვანა სწადდა, რომ არაფრის გულისათვის ურთიერთობას არ შესწყვეტდა სპარსეთში ვაჭრებთან და სოვდაგრებთან.

რომ საქართველოს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა გონიერი მეზობლური კავშირი დაეჭირა როგორც სპარსეთთან, ისე რუსეთთან, არც ერთს და არც მეორეს არ მიჰკერძავდა, რათა საქართველოს სულისკვეთება დარჩენილიყო თავისთვის, თავის ბატონი და უფალი. ლეონიძეს სჯეროდა, თუ ამაში მტრის დარწმუნებას შესძლებდნენ, თბილისს აოხრება ასცილდებოდა და ყეინი უკან გაბრუნდებოდა. აშკარა იყო რომ ყეინი მხოლოდ ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ საქართველოში რუსეთი გაბატონდება და თუ ამ მტრის ომის დაშოშმინებას შესძლებდენ, ს. ლეონიძის აზრით, საქართველოს უბედურება ასცდებოდა.

დოსითეოს ნეკრესლის აზრით ყეინს უნდა მოხსენებოდა, რომ რუსებსა და ქართველებს შორის, თუმცა სარწმუნოებრივ ნათესაობა არსებობდა, მაგრამ თანაც დიდი განსხვავება იყო ენისა, ისტორიისა და ზნე-ჩვეულების მხრივ, და რომ შეუძლებელი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება, რომ ამ მხრივ ყეინს არაფრის შიში არ უნდა ჰქონიყო. ნეკრესელ ეპისკოპოსმა იმედი გამოსთქვა, რომ ყეინი ყველა ამას შეისმენდა და საქართველოს არა დაუშავდებოდარა. ამ აზრს ბევრი სხვაც მიემხრო. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ამგვარ შეხედულებას არ იზიარებდნენ. თბილისში დარჩენის უპირატესობა იმ მოსაზრებითაც იქმნა დასაბუთებული, რომ ყეინს საბუთი არ ჰქონიყო ეფიქრა, რაკი ერთხელ ქართველები ქალაქს დასტოვებდნენ, რომ ქართველები რუსებთან ერთად მის წინააღმდეგ შეთქმული არიან და გავიდნენ, რომ რუსებს კარები გაუხსნანო.

ეს გარდაწყვეტილება ქართველებმა მტკიცედ დაიცვეს. მაშინ თბილისში მცხოვრებთა რიცხვი 80000 იყო. ნახევარზე მეტი ქართველი იყო. ქართველებმა თბილისიდან ფეხი არ მოიცვალეს, მხოლოდ ვაჭრებმა დაკეტეს დუქნები და ზოგი მათგანი თბილისიდან ურმებით გაემგზავრა დუშეთს, ანანურს, ფასანაურს და და სხვაგან.

სომხეთა წასვლა თბილისიდან მოხდა 1755 წ. აგვისტოს. წაიღეს რის წაღებაც შეეძლოთ. მათ გაჰყვნენ სხვა და სხვა ტომის ვაჭრებიც.

თბილისი განახევრებული იყო როდესაც მტერი შემოვიდა. მას წინ მიეგება ზოგიერთი წარჩინებული ქართველი და ერთგულება მოახსენა, თანაც აუხსნა ყოველივე, მაგრამ ჯარმა იგი არ დაიჯერა: თქვენივე მეთაურები სულ სხვა რამეს მეუბნებიან, თქვენ სიტყვას არ დავიჯერებო. ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ დღეს აქ, თბილისში სცხოვრებენ რუსის გენერლებიო. მართლაც, მაშინ თბილისში სცხოვრობდნენ ნემეცნი, რუსეთის კომისარი დოქტორ რეინდერი, გენერალი ბურნიშევი და გენერალი სუხუტინი. იმათ საქართველოს ის სიკეთე უყვეს, რომ მტრის მოახლოვების გაგონებაზევე დეზი ჰკრეს და თბილისიდან გაქცევით თავს უშველეს.

ყველა ეს მოახსენეს ყეინს, მაგრამ იმან არ ირწმუნა. მართალია, ქართველნი თბილისიდან არსად წასულან და თვით ირაკლი ხანიც აქ არის, მაგრამ მე მაინც არა მჯერა თქვენი ერთგულება, რადგანაც სარწმუნო ცნობები სულ სხვა მაქვს და ამიტომ თქვენთან ბრძოლით ვაპირებთ ჭკუის სწავლებასაო.

ბედისწერას ალბად ასე ჰსურდა. დაიწყო ომი. დაძაბუნებული ქართველობა იძლია. თუმცა მეფე ერეკლეს მისი შვილები და შვილისშვილებიც სულ თბილისში იყვნენ ქალაქის ოთხსავე კუთხეს იცავდნენ, მაგრამ მაინც ვერა გააწყეს რა.

მოისპო თფილისი და მასთან მოისპო ქართველებიც, მოისპნენ ქართველთ ვაჭრები, ხელოსნები, მუშაკნი და თვით სოვდაგრებიც. ქართველთა ქარვასლები განადგურდა, ყოველივე გაუქმდა და აღარაფერი დარჩა, გარდა ერთი ქარვასლისა, სიონის პირდაპირ, რომელსაც მეფე გიორგის ქარვასლა უწოდეს. დღეს ამ ქარვასლაზედ ონანოვის ქარვასლა გახლავსთ აგებული.

ასე და ამ გვარად თფილისი დაემხო და ქართველთა ხალხით დაცარიელდა. მტერი მალე გაბრუნდა უკან. მალე თბილისში დაბრუნდა მეფე და მისი ძენი, ამათ მოჰყვა თავად-აზნაურობა და მალე თფილისიდამ გასულ სომხებმაც იწყეს შემოსვლა. დაბრუნდნენ ანანაურიდან, ფასანაურიდან, მოზდოკიდან, კავკავიდან, ყიზლიარიდან და სხვა ადგილებიდანაც. ასე რომ ორი თვის განმავლობაში გახვეწილებმა უკვე იჩინეს თავი და თფილისის მამულების საუკეთესო უბნებიც მათ დაიკავეს. ამით თფილისში ქართველთ რიცხვი გაქრა და ქართველ-სომხეთა რიცხვი კი კარგად გამოჩნდა.

მალე გამოცოცხლდა თფილისი. 1796 წ. იანვრისთვის უკვე გაჩაღებული ვაჭრობა იყო. ძველს ადგილებში გაშენდნენ ახალი ქარვასლები. მეფე ერეკლემაც ააგებინა პატარა სასახლე, რომელიც დღესაც სდგას ეკზარხოსის ბინის პირდაპირ, აქვეა მეფის სასახლის ეკლესიაც პატარა წმ. გიორგის საყდარი. მოკლე დროის განმავლობაში თფილისში უკვე გაიხსნა 800-ზე მეტი კარგი სავაჭრო, განახლდა მოედანი, ბაზასხანა, შუაბაზარი, მებანდლეების უბანი და სხვა. გაიხსნენ სხვა და სხვა ლუდხანები, სამღებროები, ზეთისა და საპონის ქარხნები. სხვა და სხვა ქვეყნებიდან იწყეს უცხო საქონლის შემოტანა. მალე კალკუტიდან ინდოეთის საქონელიც გაჩნდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვაჭრობა მაშინდელი იყო მცირე. ძნელად რომ, მაშინდელ ვაჭრებში ვინმეს თანხად 1000 მ. ჰქონოდა. მე მოვესწარ ერთ სომეხ ვაჭარს, ოსეფ იზმისოვს, რომელიც მომსწრე იყო ქართველთა მეფეების დროისა. ამ პირმა მიამბო, რომ 1796 წ. სულ ორი ვაჭარი აღმოჩნდა თბილისში რომელთაც თითოს 1000 მ. თანხა აქნდაო. დანარჩენთა თანხა იყო 100, ან 200 მ. 100 მ. შეძლებული ვაჭარი თურმე ოსმალეთ-სპარსეთშიც მიდიოდა და იქიდან მოჰქონდა საქონელი. მაშინ ასეთი ჩვეულება ჰქონდათ ვაჭრებში: დუქანში უთუოდ ორი ამხანაგი იყო, ერთი შიგ ვაჭრობდა და მეორეს გარედან საქონელი შემოჰქონდა. ამიტომაც ერთი ამხანაგი სპარსეთსა და ოსმალეთში მიდიოდა სავაჭროდ და მეორე კი ადგილობრივ უძღვებოდა დუქანს.

ესეც კია, რომ მაშინ თურმე 100 მ. ვაჭარი ას ნაირ საქონელს მოიტანდა. ვაჭრობამ ისე აიდგა ფეხი, რომ 1797 წ. ინდოეთში სავაჭროდ წავიდნენ სუროძე, სტეფანე ზუბალაშვილი და სხვები.

ვაჭართა სახეიროდ ერთი ის დარჩა, რომ 1795 წ. შემდეგ, თფილისში, ქართველთა მამულები ერთობ უპატრონოდ დარჩა. მეტი წილი შენობებიდან მინგრეულ-მონგრეული იყო, ამათაც უმეტეს ნაწილად სომხის ვაჭრობა დაეპატრონა, მათ იწყეს თავიანთი ქოხმახების კეთება. მალე თფილისში კარგი ადგილებიც დაიკავეს, თითქმის ყველა საუკეთესო ადგილი ჩაიგდეს ხელში. მართალია, ქართველებიც ბრუნდებოდნენ და იბრუნებდნენ თავიანთ მამულებს, მაგრამ მათი რიცხვი ცოტა იყო. ამნაირად, თფილისის ქართველებმა ნელ-ნელ დაჰკარგეს მამულები, ხოლო ამის გემო იმდენად მოეწონათ სომხებს, რომ 1797 წ. თვით ერევნის და განჯის სომეხი ვაჭრებიც კი მოიწვიეს, თფილისში ქართველთ მამულებს მეფე ერეკლე უხვად გვირიგებსო. მაინც ეს ასე გახლდათ: 1797 წ. მეფე ერეკლემ, მართლაც დიდი დახმარება გაუწია მათ, ერევნის სომხობა ზოგი ავლაბარში დაასახლა და ზოგს კიდევ შუაგულ დაურიგა ქართველებისგან დაცალიერებული ადგილები.

თუმცა სომხეთა რიცხვი 1797 წ. თფილისში საკმარისად გამოსჩანდა და თითქმის ქართველებისას გაუთანაბრდა, მაგრამ დოვლათით და ცხოვრებით ქართველობა უფრო ძალაში იყო. მათი ფეხის გამაგრება და გაგულიანება იწყება 1801 წლიდან, როცა საქართველო რუსეთის იმპერიას ფაქტიურად დაუკავშირდა.

ზ. ჭიჭინაძე.

*) რედაქციამ მიიღო ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან რამდენიმე ფურცელი წერილი ამ სათაურით. „სოლომონ დოდაშვილი“. თითეული წერილი საგულისხმიეროა მრავალი მხრით. ფართე საზოგადოებას სასიამოვნო წასაკითხავად დაურჩება საინტერესო ცნობებით მდიდარი წერილები. ხოლო ფრთხილი ისტორიკოსი აქედან ამოჰკრებს საჭირო მასალას და შესაფერისად გამოიყენებს ჩვენს შავბედით ისტორიის ნაწყვეტის დასახასიათებლად... თბილისის აოხრების შემდეგ საუკეთესო ძალთა მემატიანეთა გადაკარგვის გამო, ამ ეპოქის შესასწავლად და აღსადგენად საკმაო საბუთები არ მოგვეპოება. ამ მხრივ ბ-ნ ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი ნედლი მასალა არსებული ნაკლის შევსებას ხელს შეუწყობს და ჩვენც სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ამ წერილებს. ოღონდ თავს ცოტა თავისუფლებას ვაძლევთ და ერთ მთლიან ხელნაწერს „სოლომონ დოდაშვილი“ ფრაგმანტებად ვბეჭდავთ. დ. კ—ძე.

## მინიატურები

VI

**სევდის ხეივანი.**

ოჰ, ნუ წამართმევთ მარტოობას—სევდის ხეივანს!

მკვნესარე გულს ჰსურს ამ ბუნების წიაღში ყოფნა, ქარის ნანინით ერთობოდეს, ზმანებით სთვლემდეს, ბუნება იყოს ბუნებისა ვით ტყისა მეფე, ვის ლოგინადა გადაჰშლია ზურმუხტის მდელო, ირმის ტყავითა იმოსება და ფერიათა სიცილ-კისკისით თავს იფარგლავს ასკილის ვარდით...

ოჰ, ნუ წამართმევთ მარტოობას—სევდის ხეივანს!

სიცრუემ გზობათ და სიყალბემ გაწოვათ ძუძუ, შემძულდა კაცთა ნათესავი, სისხლის კანონი, მხეცთა მდევნელი და მხეცობის გამმერთებელი... შორს ჩამოდექით! აქ მტრედი მყავს სულის დაიად, ნაზის ღუღუნით მაწვდის ლოტოსს ღვთაებისასა, ის განმანათლებს, ის ამადლებს, იგი გარდამქნის უბიწო არსად, ქმნილებათა სრულ გვირგვინადა, რომ სიღრმედ ვიქმნე, ოცნება და ზმანების გამგე...

ოჰ, ნუ წამართმევთ მარტოობას—სევდის ხეივანს!

თქვენი ქვეყანა ველურია, ხავს მოდებული, შავი სიკვდილი დაგეუფლათ, ხრწნილების ღმერთი, აქ კი სიცოცხლეს გაუშლია ნარნარი ფრთები, ნაზი, უბიწო და თეთრია ვით გულის მტრედი, ღიმილი მისი მეფურია, ჯანსაღი, სრული, მარად ჰაბუკი ოქროს თასით მაწვდის თვის ნექტარს და მაპყრობინებს ნეტარებას ნეტარებისას, ჟამს ფიქრმორეულ ტატნობისას, ჟამს ცისკრის ფრთისას, როს ვერცხლის ფერად აფეთქდება სიზმრის ლოტოსი, ჰქრება კაეშნის მძიმე მოთქმა, კვნესა-ქვითინი და ასე შორს-შორს სივრცის უბეს გადაკარგული თეთრ მტრედთან დავფრენ, მეც ვღუღუნებ მისებრ უბიწოდ და მასთან ერთად ვსვავ სივრცეში თავდავიწყებას...

ოჰ, ნუ წამართმევთ მარტოობას—სევდის ხეივანს!

Candide.

## სიმართლე ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის გამო.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ ჩვენმა ,,სოციალისტურმა“ გაზეთებმა ამ რამდენიმე დღის წინეთ დაუზარებლად დაბეჭდეს ამბავი იმის შესახებ, ვითომ ქართულ გიმნაზიის დირექტორს ბ. ალექსი ჭიჭინაძეს მსახური გაელახოს. ჩვენ ეს ამბავი არ გადმოგვიბეჭდია, რადგან გაუგებრობად და ცილისწამებად ჩავსთვალეთ და რამდენადაც შესაძლო იყო, საკუთრივ გავეცანით მას.

მსახურის ცემა ჭორი გამოდგა. ჭორი გამოდგა, ისიც ვითომც ეს ამბავი მასწავლებელთა თანადასწრებით მომხდარიყო. გუშინდელ ,,სახალხოში“ გიმნაზიის მასწავლებლები აცხადებენ (26 კაცი), რომ არც ერთი მათგანი არ ყოფილა იმ ინციდენტის მოწმე.

რაც შეეხება თვით ინციდენტს იგი იმდენად დამახასიათებელია მსახურისა, რომ მსახურს, რომელსაც შეუძლიან ასე უზრდელად მოეპყრას დირექტორს, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს გიმნაზიაში. ამ ჟამად დირექტორი ბ. ალ. ჭიჭინაძე თბილისში არ იმყოფება და საზოგადოებასაც იმიტომ ვერ ემცნო საქმის ნამდვილი ვითარება.

## სულს ნუ ჩაიქრობთ!

გვეყოფა თუ არა ყუმბარები ზარბაზნებისთვის, პური მშიერთათვის, შესახვევები დაჭრილთათვის? ყველა ეს საბოლოოდ კულტურის საკითხია. რა არის კულტურა ომისთვის,—ეს უკვე ვიცით; მაგრამ ის თუ რა არის ომი კულტურისთვის,—ეს კი დავივიწყეთ.

არა ბრძოლის ველზე გამოსული ჯარისკაცები, არამედ ჩვენ, კულტურის ხალხი, ვითვლებით პირველ დაჭრილებად. კულტურის ყოველგვარ ღირებულობის სალაროდან ამოღებულია ასხმული მძივები და ყელსაბამიც დაიბნა, ძირს გაიფანტა. ყოველისფერს ფასი დაეკარგა, თავისი აზრი. რაც ხელიდან გამოდის, მის სრულს უვარგისობას ვხედავთ. ვისთვის ვაკეთებთ ყველა ამას? რისთვის? სამხედრო ტელეგრამის ორიოდ სტრიქონი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გიოტესი თუ პუშკინის ხელთუქნარი შემოქმედი!

კულტურა ომის დროს ლხინი გახლავსთ ჭირის დროსა; რომ „წმიდა სასწაულთა დედა-მიწა“ ინგრევა და უდაბურდება, ეს ნახევარი წუხილია; თავის განადგურება, სულის გაუდაბურება—აი ყველაზე საშინელი რა არის დღესა!

კულტურის ქერქი, როგორც გაზაფხულის პირს გამხვალი ყინული, უფრო სიფრიფანა და თხელი გამოდგა, ვიდრე ხალხს ეგონა. შეიძლება პასუხი გავცეთ, თუ რას ნიშნავს კულტურის დონიდან დაშვება, რაიც ევროპის კაცობრიობას ელის. ამისთანა საშინელება ბარბაროსთა შემოსევის დროს თუ ხდებოდა, მაგრამ მაშინ ეს გარედან გვემუქრებოდა, როდეს კი დღევანდელი საშინელება, ჩვენგანვე მოდის, ჩვენი გულიდან. საშინელება იგი იმით არის საშინელება, რომ მუქარა მისი მიმართულია არა კულტურის რომელიმე ნაწილის, არამედ მთლად მის, გასანადგურებლად.

არ ვიცით, რითი გათავდება,—აი ის გრძნობა, რაზეც ჩვენ თვითონვე ვერ გაგვიბედნია პასუხის მიცემა. ქვეყნის დასასრულის მზგავსებაა. არ ვიცით რითი გათავდება, ვინაიდან კულტურის დაცემა ჯერ კიდევ დასასრულს არ ნიშნავს, იგი მხოლოდ დასაწყისია დასასრულის, წინასწარი ცნობა, როგორც ჭებში წყლის ნაკლულევანება მიწის ძვრის წინ.

რუსოსი და ტოლსტოის სურვილები ხდება, თუმცა არა იმ აზრით, როგორც მათ ესმოდათ, „გამარტივება“, „ბუნებასთან დაბრუნება“. სადამდინ მივა ასეთი „ბუნებასთან დაბრუნება“, ესეც არავინ იცის. „ადამიანი მეტად ფართეა,—ვეცდებოდი მის შეკუმშვასა“,—ეს სურვილიცა ხდება. ადამიანი შეიკუმშა, დაპატარავდა, დაკნინდა, გაღატაკდა: ნეტარ არიან ღატაკნი სულითა! უმჯობესია აქლემმა ნემსის ყურში გაიაროს, ვიდრე მდიდარმა იომოს, რა თქმა უნდა, სულით მდიდარმა...

სულის სალარო ისე ნადგურდება, როგორც ყოვლად უვარგისი რამ. „დაე, დაიწვეს, უკეთესს ააშენებენ“,—ამით დამწვართ ვერ ვანუგეშებთ. მაგრამ ამ ცეცხლ მოდების დროს ისე სჩანს, თითქოს დამწვარი არვინ იყოს, თითქოს უცხოს დოვლათი იწვებოდეს.

„იარაღის ჟღარუნის დროს მუზები სდუმან“ არა, ჰყვირიან: „ჰკა მაგას, ჰკა, ჰკა!“ თითქოს გადარეული ბაკხები ყოფილიყვნენ, ორფეის ქნარის ნაკუწ-ნაკუწად დამგლეჯელნი.

ვიდრე რუსეთი საზოგადო უბედურებიდან თავს იცავს, არა გარედან შეფარგლული ციხე-კოშკით, არამედ შინაგანი „აზროვნების სუბიექტური ფორმებით“, დროთი და სივრცით, ჩვენ ამტანი ვართ, უბედობის რადგანაც მძიმედ ვმოქმედებთ. მაგრამ აქაც, რუსეთში, როგორც ევროპაში, კულტურის „სამხედრო წესები“ „საალყოდ ვაქციეთ“ ესეც ეჭვს გარეშეა.

ორი რუსეთი იყო. და განა ეხლა-კი ერთია? არა, კვლავ ორი დარჩა...

რომ ეგრედ-წოდებული „გაერთიანება“ მოხდა, სწრაფად, გაჯირითებით, ეჰა, ამაშიც ეჭვი არავის შეაქვს! არ არის იუდეელი ანუ ელლინა; მაგრამ დარჩა ბარბაროსი და ელლინი, მონა და თავისუფალი. მთავარი საქმე შემეცნებისა და სინიდისის ნუთუ ამ განსხვავებაში არ იმალება, რომელიც ჰსუფევს რუსეთისადმი თავისუფალ სიყვარულისა და მონურ სიყვარულის შუა, ჭეშმარიტისა და ცრუ სიყვარულის შუა?

ცრუ სიყვარული უარესია, ვიდრე ზიზღი. რომ რუსის ინტელიგენციის სამშობლოსადმი სიყვარული არა ცრუ იყო, ეს შესაძლებელია მოულოდნელი ყოფილიყო იმდენად ბრმებისთვის არა, რამდენადაც ნებაყოფლობითი დაბრმავებულთათვის.

შეუძლებელია სამშობლო სხვაფრივ გიყვარდეს თუ არა მძულვარის სიყვარულით,—ასეთია ბედი ერთ-ერთი რუსეთისა. მძულვარის სიყვარულის გარდაქმნა მოსიყვარულის სიყვარულად ფრიად რთული და გულის მქენჯავი საკითხია. ვამარტივებთ თუ ვფარავთ ამ სირთულეს, ორთავე შემთხვევაში სიყალბე გვრჩება ხელში, და, რაც ყველაზე უარესია, ეს სიყალბე ხდება არა შიშისა გამო, არამედ სინიდისის დასამძიმებლად.

უთავბოლო ხალხი უთავბოლოდ ეწყვეტება. ეს სამწუხაროა, მაგრამ ამაზე სამწუხარო უფრო ის არის, რომ ჭკვიანი ხალხი თავს ჰკარგავს. სდუმნან, როცა დუმილი შეუძლებელია და ამბობენ იმას, რის თქმაც არ შეიძლება...

თითქოს ,,სიფხიზლის“ დღეები დაგვიდგა და მთვრალს კი ბევრს ვხედავთ. განა არაყზე ხელი იმიტომ არ ავიღეთ, რომ გაბრუებული აღარ ვიყვეთ?—მეტად ძნელია ფხიზლისათვის მთვრალთა შორის ყოფნა. სიფხიზლისათვის ეხლა საჭიროა დიდი მამაცობა. დაე, ვისაც თავში სიმთვრალე არ ავარდნია, უკანასკნელ სულის ამოსვლამდე გვარწმუნონ, რომ ომი გათავდება, კულტურა დაიმხობა, ცა და დედამიწა დაიღუპება, მაგრამ ადამიანის აზრი და სიტყვა დარჩებაო.

ველურობიდან კულტურისკენ გასავალი გზაა, მაგრამ არავითარი ბილიკი არ მოიპოვება გაველურებიდან კულტურისკენ რო პირი ვუყოთ. კულტურის დაბრუნება შეუძლებელია, იგი არ მეორდება. მისი არსებაა შეუწყვეტელი მიმდინარეობა, ჩაუქრობლობა. მის ცეცხლის შეჩერება შეიძლება, მაგრამ თუ ჩაქრა, ვერ აანთებთ.

**სულ ნუ ჩაიქრობთ**,—აი უსაჭიროესი და აუცილებელი ადამიანის სიტყვებიდან?

დ. მერეჟკოვსკი.

## პატარა ფელეტონი

## ნაბდის ქუდი

(ნამდვილი ამბავი)

შუა ღამისას, მიძინებულ თხრილებში ჩოჩქოლი მოისმა.

— გერმანელები მოდიან!—გაისმა დარაჯის ხმა და ყველა ეცა თოფიარაღს.

ერთი წამის დახამხამებაში ყველა ჯარისკაცი თავ-თავის ადგილზე იდგა და გამზადებული ელოდებოდა ბნელ ღამის დაუპატიჟებელ სტუმარს.

ორი ძმა, თუში, ტატე და ნინიკა, გვერდი-გვერდ ატუზული, თხრილის მარცხენა ბოლოში გატენილ თოფებით სხვებთან ერთად ჩაჩუმებულნი [illegible] წინ მდებარე შავ-ბნელ [illegible].

— ეგ ოჯახ დაქცეული რა დრო აირჩევს ხოლმე. ამ სიბნელეში გზაც რომ არ ერევა?—სთქვა ტატემ.

ცოტა ხანს შემდეგ ტატემ წაჰკრა მუჯლუგუნი ძმას:—ნინიკა! რას გაჩუმებულხარ კაცო? ალვანი ხომ არ მოგაგონდა! დაივიწყე ძმაო, დაივიწყე, თორემ დღეს თუ არა ხვალ გერმანელი დაგვავიწყებს!—ეხუმრებოდა ტატე ძმასა.

ნინიკა სდუმდა და ხმას არ სცემდა ტატეს. ბოლოს უცბად მობრუნდა, ჩახტა საფეხურიდან თხრილში და ორიოდე წუთის შემდეგ ისევ გაჩნდა ტატეს გვერდზე. ხელში რაღაცა ეჭირა.

— ტატე! მოიხადე ეგ შენი რუსული „კაკაროზი“. ტატემ მოიხადა.

— გადიწერე პირჯვარი.—ტატემ გადიწერა.

— ეხლა დაიხურე ეს.—და გაუშვირა ძმას ნაბდის ქუდი. თვითონაც შორს გადისროლა გახრეკილი ,,კაკაროზი“ და პირჯვარის წერით დაიხურა იგივე თუშური ქუდი.

— ჩემს გუდაში დამქონდა ეს ჩვენი ქუდები ტატე,—სთქვა ნინიკამ,—ვფიქრობდი, თუ ჩვენი წერა სიკვდილია ამ უცხო ქვეყანაში, მშობლიური ქუდი მაინც თავს გვეხუროს. ამით მაინც გავვარჩევენ, რომ ქართველები ვართ და იქნებ ვინმე ჩვენმა მოძმემ ქართულად გვახსენოს და საუკუნო ხსენებით მოგვიკითხოს...

— ეჰ, ჩემო ნინიკ!—უპასუხა ტატემ—გლოვის გუნებაზე დამაყენე. ძვირფასია ეს სამშობლოს სახსოვარი, მაგრამ რას გვიშველის... იქნებ ისე გავიჭყლიტოთ, რომ ჩვენი ძვალიც აღარ შეგვრჩეს... მაგრამ გმადლობ ძმაო... მართლაც რომ კაი მოგიფიქრია... ძვირ... ამდროს გაისმა ხმამაღალი ბრძანება:

— მარცხენა ფლანგი! სროლა!

იგრიალა თოფმა, და ასტყდა საშინელი სროლა და ტყვიისმტყორცნელების ჭახა-ჭუხი.

თუშების თოფებიც არა ერთხელ დაცლილა.

უცბად, ახლო გაისმა მტრის ურა...

ვიღამაც უკან დაჰკივლა:

— თხრილებიდან! წინ! ხიშტებით!

სხვებთან ერთად ჩვენი თუშებიც სწრაფად ამოხტნენ თხრილიდან და გაქანდნენ მტრისაკენ.

იქვე ზედ თხრილების წინ დაეტაკნენ გაშმაგებულ და დიდის ხმაურით მომდინარე გერმანელების ტალღას. გაიმართა საშინელი ხელჩართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

— ტატე მიშველე!—მოისმა ნინიკას ხმა. ტატე მივარდა და თოფის კონდახით იქვე დააწვინა რამდენიმე უზარ-მაზარი გერმანელი, მაგრამ მალე მტრის ხიშტებით დაგლეჯილი დაეცა მძიმედ დაჭრილი ნინიკას გვერდზე.

სასიკვდილოდ დაკოდილი ორი თუში კვდებოდა.

ნინიკამ ღონე მოიცა, მიცოცდა მიცვალებულ ტატესთან ახლო, წაიგლიჯა ნაბდის ქუდი, და ხელის დაკვრით, ქუდში შენახული მუჭა მიწა, მოტანილი ალვანიდან, ზედ წააყარა.

— განისვენე ძვირფასო ძმაო, შენ მშობლიურ მიწის ქვეშ—წაილუღლუღა სისხლ-დაცლილმა ნინიკამ, გადმობრუნდა ზურგზედ, გულის ფიცარზე ძვირფასი ნაბდის ქუდი დაიდო და შეჰყვირა:

— გაუმარჯოს ქართველ ძმებსა! ვინ ხართ ახლო ქართველებო... მოდით მიშველეთ... ვკვდებით უპატრონოდ...

არვინ გასცა პასუხი ნინიკას.

შორიდან კვლავ ისმოდა თოფის გრიალი.

მალე ყველაფერი შესწყდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ბრძოლის ველზე.

ჩუმად იწვნენ ორი თუშიც.

მკვდრები იყვნენ.

დილით სანიტარებმა მიცვალებულ ძმებს გვერდზე ამოუარეს. ერთმა მათგანმა ნინიკას გულზე რაღაცა შავი საგანი შეამჩნია. დაიხარა და ყელში აილო თუშური ნაბდის ქუდი. შიგ, კუნჭულში მიმალული და „ალვანის მიწაში“ გათუთხნილი ქაღალდის ნაფლეთი აღმოჩნდა. სანიტარმა, მეგრელმა, გაშალა ნაფლეთი და წაიკითხა ნინიკას ნაჯღაბნი ძველი თუშური თქმულება:

ვერ შეიტყეთ ქართველნო
რკინის შეგეხსნათ ხმალია,
მოგიკვდათ მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია.

. . . . . .

. . . . . .

ადექი, მეფევ, ადექი,
ადექ, რა დაგმართებია!
ხედავ რა ხდება გარშემო
მამის გერთმევა ყმანია!

**მხედარი.**

## პროვინციის ქრონიკა

**კ ა ხ ე თ ი.**

სხვა მოსავალთან ერთად წელს კახელებს თაფლის მოსავალმაც უმტყუნა. ზოგიერთ ადგილებში ფუტკარს თურმე თავის სამყოფი თაფლიც ვერ გაუკეთებია.

**სოფ. წინანდალი.**

აქაურ საუფლისწულო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქ-ნი ბაკურაძისა.

**სოფ. კალაური.**

ეს ერთი თვეა აქაურ სასწავლებლის კარები გამოკეტილია, სწავლა ჯერ არ დაწყებულა. მიზეზად მასწავლებლის მოუსვლელობას ასახელებენ, საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს.

**თ ე ლ ა ვ ი.**

ჩვენს ქალაქში დიდი სიძვირეა, შეშის ფასი წინად ღირებული 5 მან. ეხლა 10—12 მანეთამდე აღწევს. კარგა ხანია თელავში შაქარიც ძნელი საშოვნელი გახდა. ეს ოთხი-ხუთი დღეა შაქარი აღარ მოიპოვება.

— ამას წინად გაძარცვეს ივ. ლომიძის ტყავეულობის მაღაზია, წაიღეს 3,000 მან. ღირებული საქონელი.

**შეძენილი ხორბლის გამოგზავნა.**

ეკატერინოდარიდან ბ-ნი ლუკაშვილი, დეპეშით იტყობინება, რომ 19 ღვინობისთვეს გამოიგზავნა 40 ვაგონი ხორბალი თელავის სიღნაღის და თბილისთიანეთის კოოპერატივთა საჭიროებისათვისაო.

**დაბა ყვირილა.**

ახალი კანონის ძალით აქ უკვე დაიწყეს სოფლების ახალ საგამგებლო დანაწილება.

— დ. ყვირილის ერთი ჯგუფი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ნება მიეცეს ყვირილაში პროგიმნაზიის დაარსებლად.

**ბ ა ქ ო.**

ეს ერთი ხანია ქ. ბაქოს რკინის გზით სანოვაგეულობა ბლომად მოდის.

— ბაქოს ქარ. კულტ. სამხატვრო წრის განყოფილება მეტად ცუდ მდგომარეობაშია, წრის ყრილობებზე გული აიცრუეს და აღარ ესწრებიან.

**ფ ო თ ი**

ფოთში დიდი შეშის მოთხოვნილებაა, ეს იმით აიხსნება რომ ფოთის შეშა შემოუკვეთა თბილისმა. ქალაქის გამგეობა ჰფიქრობს ამ მოკლე ხნისთვის დაამზადოს 1,000 ორ კუთხი საჟენი შეშა. ხურდა ფულის ნაკლულოვნება ქალაქს დღე და დღე ემჩნევა.

**სოფ. ლოლა (იმერეთი)**

18 ღვინობისთვეს რკინის გზის მსახურ რუხაძის სახლში ყაჩაღები შეკრებილიყვნენ, რომელთაც ერთმანეთში კინკლაობა მოუვიდათ, რაიც შემდეგში იარაღით შეტაკებაზედაც გადავიდა, მოკლულია ერთი ყაჩაღთაგანი და დაჭრილია სახლის პატრონი რუხაძე.

**დაბა ახალსენაკი.**

18 ღვინობისთვეს სენაკიდან 8 ვერსის მოშორებით მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა, 25 შეიარაღებულნი თავს დაესხნენ სამგზავრო მიმავალ დილიჟანს. ძალზე სცემეს მედილიჟნეს, ხოლო მგზავრებს 4,000 მანეთამდე ღირებული საქონელი წაართვეს. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

**ახტალის ტალახი.**

20 ამა ღვინობისთვეს კავკასიის სამკურნალო კომისიაში ფ. ფეხნერის თავმჯდომარეობით განხილულ იქმნა ა. ზენინგოგის მოხსენება ახტალის სამკურნალო ტალახის გამოკვლევის შესახებ. ეს მოხსენება ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდება ჟურნ. „ლეჩებნი კავკაზ“-ში. კომისიაში ცნობები იყო მიღებული აგრედვე წყალტუბოში ციების შესახებ. დასასრულ ყრილობა შეეხო კავკასიის სამკურნალო ადგილებისადმი უგზობასა და მათ მოწყობის აუცილებლობას. განზრახულია კომისიამ იზრუნოს კახეთში და საქართველოს სამხედრო გზაზე სამკურნალო ადგილებისადმი მიმოსვლის გასაადვილებლად.

## რასა სწერენ?

**„თანამედროვე აზრი“**

**გახიზნულთა მდგომარეობის შესახებ.**

გახიზნული ჩვენშიაც ბევრია. აქ საკმაოა დავასახელოთ ოსმალეთისა და ბედკრულ აჭარიდან გამოქცეულნი. ეს ცოტაა. ომის დაწყებისას შავი ზღვის განაპირა ადგილები დაცარიელდა. ოსმალეთის ფლოტის თავდასხმამ მრავალი მოქალაქე თავის სახლკარს მოსწყვიტა და სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში გადაისროლა. ბევრი მათგანი უკიდურესათ გაჭირვებულია. სამწუხაროთ, ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები არ მოიპოვება, ამას ახლავე ყურადღება უნდა მიექცეს და გახიზნულთა სიები შედგეს.

ვინ უნდა იკისროს გახიზნულთა დახმარება?

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახმაურდენ და საქმეს შეუდგენ. მარა გაჭირვება იმდენად ფართოა, გახიზნული იმდენათ ბევრია, რომ აქ საზოგადოება ბევრს ვერას გახდება. გახიზვნა ომის აუცილებელი თანამგზავრია. ამიტომაც დახმარება სახელმწიფოს ვალია. ყველა გახიზნულს საშუალება უნდა მიეცეს გამოიკვებოს, ტანზე ჩაიცვას და ყველა აუცილებელი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ვინც ამას უარყოფს, ის მრავალ მილიონ ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს.

**„კავკაზსკოე სლოვოში“ აჭარლების ღალატის შესახებ დაბეჭდილ წერილზე იგივე გაზეთი ამბობს.**

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ „კავ. სლოვოს“ ძალიან ეხერხება წაქცეულის ცემა და მიდგომით მსჯელობა იქ, სადაც საჭიროა დიდი სიფრთხილე და თავდაჭერა ჩვენ გვახსოვს მისი გალაშქრება ყარსის მცხოვრებთა წინაამდეგ სწორეთ იმდროს, როცა ხულიგანთა ბრბოები მოურიდებლათ თარეშობდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა დასარბევათ, რამაც გამოიწვია ყარსის გენერალგუბერნატორის გამაფრთხილებელი განცხადება, რომ ამკლებლები სასტიკად დაისჯებოდენ, თუ თავიანთ მოქმედებაზე ხელს არ აიღებდენ და აი, როცა სამხედრო მთავრობის წარმომადგენელიც კი მშვიდობიან მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობაში შედიოდა, მათ გამოქომაგებას საჭიროთ სთვლიდა, ლიბერალური „კავკაზსკოე სლოვო“ ამ მცხოვრებთა წინააღმდეგ ილაშქრებდა და დამწვარზე მდუღარეს ასხამდა. როცა ეს ჩვენ აღვნიშნეთ, გაზეთი ისტორიას ამოეფარა: ისტორიისათვის საჭიროა ფაქტების გამოქვეყნებაო. იგი ახლაც ამავე ხერხს იმეორებს, როცა ბ. სიბირსკის „შთაბეჭდილების“ ცალმხრივობა და მის მიერ ფაქტების გადამახინჯება აღინიშნეს, „კავ. სლოვო“ შეცდომის აღიარების მაგიერ „მომავლის პირუთვნელ სასამართლოსაკენ“ გვითითებს.

მომავლის პირუთვნელი სასამართლო, უეჭველია, ბევრს რასმეს გამოაშკარავებს და თვის მკაცრ მსჯავრს დასდებს, მარა, თქვენ ბატონებო, რათ ურთულებთ საქმეს ამ მომავლის პირუთვნელ სასამართლოს. როცა ცალმხრივათ აშუქებთ ზოგიერთ საზოგადოებრივ მოვლენებს და ამახინჯებთ ფაქტებს?

## რუსეთის ცხოვრება

**სათათბიროს ბედი.** დეპუტატთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ მთავრობას სურს ნოემბრის დამლევს სათათბირო მოიწვიოს განსაზღვრულ მიზნით და ხანმოკლე ვადითაო. მემარჯვენე დეპუტატები ჰფიქრობენ, შესაძლებელია ეს მეოთხე სათათბირო სრულიადაც მიჰკეტონ, თუ იგი გადაჭრით არ უარჰყოფს ოპოზიციაში ჩადგომასაო.

**გამოქცეულთა ახალი გადახვეწა.** მოსკოვიდან გამოქცეულთ ახლა სხვა და სხვა ქვეყნებისკენ ჰხვეწავენ.

**ელექტრონის ნაკლულევანება.** მოსკოვში წინადადებით მიჰმართეს თეატრებს, რომ მხოლოდ 4 საათით შეეძლებათ ელექტრონით ისარგებლოთო. მაღაზიების განათება შეიძლება 7 საათამდე. რესტორანებში მისი ნაკადი უნდა 30 პროცენტით შემცირდეს. ქუჩების გასანათებლად ელექტრონის ენერგიას 40 პროც. ამცირებენ.

**მარილის სიმცირე.** ტვერის გუბერნიაში საშინლად შემცირდა მარილი.

**ახალი ხურდა ფული.** მომავალ თვიდან გამოვა ქაღალდის ახალი ხურდა ფული. პირველად გამოუშვებენ 20, 15 და 10 კაპეიკიანს. ზედ ეწერება: „ვერცხლის ფულის თანაბრად მოიხმარება“. ნელ-ნელა, როცა ხალხი შეეჩვევა ასეთ ფულის ხმარებას, შემოღებულ იქნება 1, 2 და 3 კაპიკიანი ხურდა ფული. ვიდრე ეს შემოღებულ იქნება, მანამდე ხმარებაში შევა საიუბილეო მარკები.

## ცოტა რამ ქართული ზმნების შესახებ

ხშირად ისმის ქართულ ზმნათა შესწავლის სიძნელის შესახებ ჩივილი ისეთ პირთაგან რომელთაც ქართული ენის გრამატიკა თავის დღეში ხელში არ აუღია. ქართული ზმნები არც უკანონო და არც მით უმეტეს კანონიერი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მხოლოდ დაკვირვება და საელემენტო წესის ცოდნაა საჭირო ამ ზმნების შესასწავლად. თუ კლასიკურ და ახალ ენების შესწავლის დროს, ქართველი მუყაითად შრომობს და აუარებელ სიძნელესა და დაბრკოლებას ძლევს, რაღა თავის სამშობლო ენის შესწავლის დროს იგრძნო ულონობა და უნიჭობა! ნუთუ ქართული ენის კანონები ბერძნულ და ლათინურ ენათა კანონების უძნელესი და ურთულესია? ვინც ჩაუკვირდება ქართული ენის კანონებს, ის ადვილად მიხვდება, რომ ზმნათა იმ სამარცხვინო ფორმების ასაშორებლად, რომელსაც ზოგნი ხმარობენ წერისა და საუბრის დროს, სრულიად საკმარისია სახე ზმნათა და მათ ფესვთა და ძირთა გამოცნობა, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არავისთვის, გარდა დაუდევართა და არა მსურველთათვის.

უნებლიედ აქ ერთი მაგალითი დაუდევრობისა უნდა მოვიყვანო.

რამდენიმე წლის წინად ერთმა თბილისის პირველდაწყებითი სომხური სკოლის გამგემ სასკოლო კომისიის თავმჯდომარეს თხოვნა მიართვა, სთხოვდა, გადამიყვანეთ სომხური სკოლიდან რუსულ სკოლაში, რადგანაც სომხური არ ვიცი და სომეხ ბავშვთათვის არ გამოვდგებიო.

განსვენებულ მელიქ-ბეგლაროვზე სხვაზედ უფრო იმოქმედა ამ თხოვნამ და სთქვა: ძლიერ მაკვირვებს ეს ქალბატონი თვისი საქციელითო. ამისთანა თხოვნა სწორედ კადნიერობააო. დამსწრე პირთ არ მოეწონათ მელიქ-ბეგლაროვის აზრი და იწყეს მთხოვნელის მართლება.

ისევ მელიქ-ბეგლაროვმა განმარტა: მთხოვნელი თბილისშია დაბადებული და აღზრდილი, სასწავლებელშიც ასწავლიდნენ სომხურს და თუ არ ისწავლა, დანაშაულად უნდა ჩაეთვალოსო. ამასთანავე დიდი ხანია მასწავლებლობს ჩვენ სკოლებში და სომეხი ბავშვები ახვევია; რატომ არ შეეცადა შეესწავლა სომხური, როდესაც ბავშვებს ვერას აგებინებდაო. აქ დაუდევრობის და სამშობლო ენის არაფრად ჩაგდების მეტს ვერას ვხედავო. ამის შემდეგ მთხოვნელს საკადრისი პასუხი მიართვეს და დღესაც იმავე სკოლაში ბრძანდება, რომელსაც გაურბოდა.

ვიმეორებ გან. მელიქბეგლაროვის სიტყვებს. ქართულ ზმნათა იმ ფორმების ხმარება, რომელსაც ალაგი აქვს დღეს მწერლობაში და საუბარშიაც, სწორედ ჩვენი დაუდევრობაა და არარაობა.

ამ დაუდევრობის ნაყოფს მოვიყვან აქვე:

ამ წლის „სახალხო გაზეთის“ 19 ივლისის ნომერში, ახალ ამბავში, წავიკითხე შემდეგი: „კახეთის რკინის გზის შემოწმება 20 ივლისს დაიწყობა“.

როგორც მოგეხსენებათ, შემოწმების დაწყობა შეუძლებელია. ამიტომ „დაიწყობა“-ს მაგიერ „დაიწყება“ უნდა ეხმარა ავქსონს. ზმნებს წყობა და წყება სრულიად სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, ამიტომ არევა ერთმანეთში შეუძლებელია. ზმნა წყობა, დაწყობა ნივთის შესახებ. მაგალითად: დაწყობა შეშის, ქვების, ფიცრისა და სხვა. ამ მოქმედებით ზმნას საშუალოდ თუ გადავაქცევთ, იქნება: ვიწყობი, დავიწყობი და მესამე პირი: იწყობა, დაიწყობა: ეს ნივთი აქ დაიწყობა, ის იქ დაიწყობა და სხვა...

მეორე ზმნა: წყება, დაწყება—ვიწყებ, დავიწყებ, ნიშნავს მოქმედების დაწყებას და აქვს შემწეობითი ზმნის ხასიათი: ვიწყებ მუშაობას. საშუალო ზმნადაც კეთდება: ვიწყები, დავიწყები, იწყები, დაიწყები, იწყება, დაიწყება; დაიწყება კრება, ბაასი, შემოწმება და სხვა. აი, ეს უკანასკნელი ფორმა უნდა ეხმარათ.

ხშირად ქართულ ზმნების აწმყო დროის ფორმები „ვ“-ნის მაგიერ „მ“-ნს ხმარობენ ზოგნი.

მაგალითად: მძინამს, გძინამს, სძინამს, გვძინამს და სხვ.; ვნახამ, ვლოკამ, ვნიშნამ, ვკარგამ, ვფორთხამ, ვსწნამ, ვინახამ, შევინახამ, ვფიცამ, მიქარამს, დავკოდამ, ვლალამ, შევლალამ, თვალს მოვკრამ, ვმუსრამ, მოვრთამ, ვჟეჟამ, ვხედამ, შევხედამ, ვტეხამ, ვზელამ, ვსწორამ, ვხარშამ, ვხუჭამ, ვხნამ, ვნაყამ, ვპარამ, ვსწურამ და სხვ. (ოთხასამდე ამნაირად ნახმარი ზმნა მაქვს ამოწერილი ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან, მაგრამ აქ მეტი არ მომყავს).

აქ ჩამოთვლილ ზმნებში, როგორც სხვა ამათ მსგავსშიაც, არსად „ვ“-ნის მაგიერ „მ“-ნი არ უნდა ვიხმაროთ, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება კანონს ქართული ზმნებისას, როგორც შემდეგიდან დავინახავთ.

სახეზმნა: ძინვა-პირები: მძინავს, გძინავს, ჰძინავს, გვძინავს...; ნახვა—ვნახავ; ლოკვა—ვლოკავ; ნიშვნა—ვნიშნავ; კარგვა—ვჰკარგავ; ფორთხვა—ვჰფორთხავ; წნვა—ვწნავ; ფიცვა—ვფიცავ; კოდვა—ვკოდავ; ლალვა—ვლალავ, შევლალავ; შენახვა—შევინახავ; თვალის მოკვრა—თვალს მოვკრავ; მუსრვა—ვმუსრავ; რთვა—მორთვა — ვრთავ—მოვრთავ; ჟეჟვა — ვჟეჟ — ვჟეჟავ (ვჟეჟ სჯობს); ხედვა—ვხედავ; ტეხვა—ვტეხ; ზელვა—ვზელ; წირვა—ვწირავ—ვჰწირავ—ვსწირავ; ხარშვა—ვხარშავ; ხუჭვა—ვხუჭავ; ხვნა—ვხნავ; ნაყვა—ვნაყავ; პარვა—ვჰპარავ; წურვა—ვწურავ და სხვ. აქ არსად „მ“ არ უნდა.

ზოგნი ვერ არჩევენ შემდეგ ზმნებს და ერთს მეორის მაგიერ ხმარობენ, რაც სასურველი ვერ არის.

წყენა—წყენვა და წყინება—წყენინება.

პირველი ნიშნავს ვნების მოტანას, ვნებას, მეორე—არა სასიამოვნოს თქმას, საწყენის თქმას. ეს განსხვავება წარსულ დროში უფრო ნათლად სჩანს: წყენა—მწყენს, გწყენს, სწყენს...

წარს. დრო მწყენდა—მაწყინა;

წყინება—მწყინს—გწყინს—სწყინს...

წარს. დრო: მწყინდა—მეწყინა.

გაჭირება და გაჭირვება. გაჭირება—გაუჭერ, მოუჭერ—ნიშნავს მოჭერას, შეკვრას, შეკონვას. გაჭირვება—გაუჭირვებ—ნიშნავს საქმის გაძნელებას. ამას ანდაზაც გვიმტკიცებს: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებ“.

ზრახვა და ძრახვა.

ზრახვა—ვზრახავ, ჰზრახავ, ჰზრახავს, ეს ზმნა ნიშნავს საუბარს, ფიქრს, ვსაუბრობ, ვფიქრობ. „ზრახვიდა უგუნური გულსა შინა თვისსა“ (ფსალმუნი).

ძრახვა—ვძრახავ—ჰძრახავ, ჰძრახავს. ნიშნავს კიცხვას, ლანძღვას. ვკიცხავ, ვლანძღავ.

როგორც ხედავთ, ბატონებო, ზმნები: წყენა და წყინება; გაჭირება და გაჭირვება; ზრახვა და ძრახვა სხვა და სხვა აზრის გამომხატველია და ამიტომ თვითეული მათგანი თავის ალაგზედ უნდა ვიხმაროთ. შემეძლო ასობით მაგალითის მოყვანა, მაგრამ უადგილობა მიშლის ხელს.

უკანონოდ ხმარობენ შემდეგ ორ ზმნასაც:

ნახვა და ძვირვა—ძვირობა.

ნახვა სახეზმნაა. მიმოიხვრის ასე: ვნახავ, ნახავ, ნახავს, ვნახავთ, ნახავთ, ნახვენ. ვნახავდი, ვნახე... კერძოდ იმერეთში სხვანაირად ნათვლენ ამ ზმნას: ნავხავ, ნავხავდი, ნავხე. გარდა იმერლებისა ამ ფორმით არც სწერენ და არც საუბრობენ სხვა საქართველოს კუთხეებში.

ძვირფა—ძვირობაც სახეზმნაა. ესეც მიმოვხრათ: ვძვირვარ, ვძვირობ, ძვირხარ—ძვირობ, ძვირარს—ძვირობს და სხვა... როგორც ხედავთ, აქ აღნიშნულ ფორმებში არსად „მ“-ნის ხსენება არ არის! მიუხედავად ამის, ზოგნი სწერენ და ლაპარაკობენ: მძვირობს, სიმძვირე,—სიძვირის მაგიერ. არც ეს არის სასურველი და სწორე ფორმა უნდა გაბატონდეს: ძვირობს, სიძვირე.

შემდეგ ზმნების ფორმებიც ვერ არის მოსაწონი: ბლარტობს, ბლერტავს, გაცილებით უკეთესია: ბარტყობს, ბერტყავს, თუმცა პირველი შეგხვდებათ დიდი პოეტის ნაწერებში.

ასეთია ზმნებიც: კაზმვა და კმაზვა.

უპირატესობა პირველს ეკუთვნის, რადგანაც უკეთილხმოვანესიც არის და უფრო გავრცელებულიც.

შემდეგ სრულ ფორმებს ზმნებისას: დავიჭირავ (თუმც რუსთველი ხმარობს) ვგლეჯავ, ვზელავ, ხნამენ, ფარცხავენ, კვალავენ, რგავენ, ინახავენ, სხლამენ, ვტეხავ, შემოკლებითი ფორმები სჯობს: ვიჭერ, დავიჭერ, ვგლეჯ, ვზელ. ხვნენ, ფარცხვენ, კვალვენ, რგვენ, ინახვენ, სხვლენ, ვტეხ და სხვა...

ფორმები ზმნათა: დიოდენ, გადიოდენ, კრებდენ, კრეფდენ, შემოადგენ, გავიდენ, ჩავიდენ, წავიდენ, მივიდენ, დაადგენ, ჩახტენ, გახურდენ, კერავდენ, ამოუდგენ, სეირნობდენ, მღეროდენ და სხვა... ერთი მხრით ბრძანებითი კილოს უფრო გვაგონებს, მინამ მოთხრობითს: დიოდენ, გავიდენ, დაადგენ, ჩახტენ და სხვა... და მეორე მხრით სხვა მნიშვნელობაც აქვს: ჩავიდენ, წავიდენ, მივიდენ და სხვა... ამიტომ გაცილებით უკეთესია ერთნაირი, უკვე გამეფებული მწერლობაშიც, და საუბარშიც დაბოლოვება „დნენ“ დარჩეს ხმარებაში.

**გ. იმნაიშვილი.**

## დეპეშები

**ლონდონი**, 20 ოქტ. თემთა პალატაში კარსონმა გააკრიტიკა კაბინეტის სამხედრო პოლიტიკა და თან მწუხარება გამოსთქვა დორდანელის საკითხის შესახებ: „საამო მოსასმენია თქვენი აღთქმანი სერბეთის გულის მოსაგებად, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, ამ გარდაწყვეტილებას ცოტა ადრე დასდგომოდითო“. როდესაც მან გაიგო, რომ მთავრობას ამის შესახებ გარკვეული გეგმა არა ჰქონია, სწრაფად შესწყვიტა კაბინეტთან დამოკიდებულება.

**ლონდონი**, 20 ოქტ. თემთა პალატაში ასკვიტმა ილაპარაკა ახალ ჯარისკაცთა გაწვევის შესახებ. ლორდ დერბის პროექტსაო,—სთქვა ასკვიტმა,—მიზნად აქვს ჯარში გაიწვიოს ისეთები, რომელნიც საჭირო არ იქნებიან იარაღის გასაკეთებლად და ეროვნულ მრეწველობისთვის. მიუხედავად ამისა, პროექტი შესრულდეს და საკმაო სამხედრო სამსახურში გამოსადეგი ძალნი აღმოჩნდეს, სულ ერთია, ჩვენი ქვეყანა იძულებული გახდება ჯარების შესავსებად სავალდებულო სამსახური შემოვიღოთო.

**თეირანი**, 20 ოქტ. რუსეთის მთავრობის მიერ კატეგორიულმა მოთხოვნამ, აგრეთვე ინგლისელთა რადოლათთან მოახლოვებამ აიძულა შაჰი და მინისტრები დაფაცურებულიყვნენ. თათბირის შემდეგ [illegible] რუსეთსა და ინგლისს [illegible] მზადაა ნეიტრალიტეტი დაიცვას. ჩვენი სურვილია, ინგლისმა და რუსეთმა გაიმარჯვოსო. მიუხედავად ამისა მდგომარეობა ნაძალადევია, ვინაიდან გერმანელები არას გზით არ მოისვენებენ და ყოველთვის ეცდებიან თავიანთ სურვილებისამებრ შესაფერი ცვლილება მოახდინონ.

**პარიზი**, 20 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. ლუვენის დასავლეთით ცხარე საარტილერიო ბრძოლაა კოლონის ტრანშეის რაიონში. ცხარე ბრძოლებია აგრედვე ერთ მეორის ახლოს სექტარ-ნევოლ-სენ-ვაასტის ტრანშეების რიგში. სომის სამხრეთით, ფოშუკე-კურის რაიონში ჩვენმა არტილერიამ ენერგიული ცეცხლი დაუშინა გერმანულ ტრანშეებს, რის დროსაც ყუმბარები მაშინ დავარდნენ მტრის ბანაკში, როდესაც ჯარების ნაწილების გადაჯგუფება ხდებოდა. არგონებში გერმანელთა რამდენიმე ნაღმმა იფეთქა, მაგრამ ჩვენ მუშაობას არაფერი ვნებია. ჩვენი ქვეითა ჯარის ჯეცხლით ხელი შეუშალეთ მოწინააღმდეგეს ყუმბარებისაგან თხრილები დაეკავებინათ, დანარჩენ ფრონტზე არაფერი თვალსაჩინო არ მომხდარა,

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangernen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingneustrasse, 48,
A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonniers qe guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія. Заказное.
>
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
>
> Agence des prisonniers de guerre
>
> Çeneve.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

თელავისა დ წნორისკენ დილ. 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევის 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის . . 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . . 5 ს. 15 წ.

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

დილის . . . . . . . 8 ს. 58
გურჯაანში მოდის . . . 10 ს. 26
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის . . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის . . 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ჩოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან